ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

8 აგვისტოდან!
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4
+
ფუფნფ რჰზცნზ
* კფჰზ




[esif,fsb7 #) fudbcnj7 @)!@ 1206 (5895) afcb5 #) stshb

# ლაფანყურის სპეცოპერაცია დიდი მსხვერპლით დამთავრდა


გვ.2

## მამუკა არეშიძე: ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია ეჭვებს იწვევს“





სამხედრო პირი, რომელმაც თავი დღეს მოიკლა, ლაფანყურიდან იყო გვ.2


გვ.3

## პაატა ზაქარეიშვილი: ლაფანყურის სპეცოპერაცია სააკაშვილის დაგეგმილი სამხედრო პროვოკაციაა“


გვ.2

## რობერტ სტურუა: ჩათვალეთ, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში სააკაშვილმა მარიამობას დაიწყო


გვ.2

## საქართველოს მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს

## ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მათ ცენტრალურ ოფისში ჯაშუშური საქმიანობა ხორციელდებოდა


გვ.4



## არჩევნების პროცესის გაშუქებისას ჟურნალისტებზე ზეწოლა არ უნდა მოხდეს

გვ.5

## ფხალაძე არ გამორიცხავს, რომ დაღესტნიდან საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების დივერსიული ჯგუფი გადმოსულიყო


გვ.6

## ლეიბორისტებმა ორი რაიონის საარჩევნო კომისიაში საკუთარი წარმომადგენლები დაითხოვეს

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**3** პრემიერმინისტრობის კანდიდატებს შორის პირველი დებატები 9 სექტემბერს გაიმართება

**2** დაღუპული სამხედრო ექიმის დაკრძალვის ხარჯს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს

**4** ვინ არიან ახალგაზრდები, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეს და ოცნებაში გადავიდნენ“

**2** ლაფანყურის ოპერაციისას სპეცრაზმის სამი თანამშრომელი და 11 დივერსანტი დაიღუპა

## შსს ინფორმაციას ავრცელებს რუსეთის საზღვართან მიმდინარე დევნის ოპერაციის შესახებ

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან მიმდინარე სპეცოპერაციის შესახებ საქართველოს შს სამინისტრო განცხადებასა და ვიდეომასალას ავრცელებს, რომელსაც „მედიანიუსი" უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველო-რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი . შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია. შსს ქვედანაყოფებს ბლოკირებული აქვთ ხეობა. საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა ზომები მიღებულია. დამატებითი დეტალების შესახებ საზოგადოება მოგვიანებით იქნება ინფორმირებული", – ნათქვამიაა განცხადებაში.

შსს-ს ვიდეომასალაში კი ასახულია პრემიერ მერაბიშვილთან გამართული თათბირი, რომელსაც შს, იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრები, შს მინისტრის მოადგილე ესწრებიან.

მედიანიუსი



## დაღუპული სამხედრო ექიმის დაკრძალვის ხარჯს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთთან მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დღეს სამხედრო ექიმი, კაპრალი, 34 წლის ვლადიმერ მურადის ძე ხვედელიძე დაიღუპა.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კაპრალი ხვედელიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. კაპრალი ხვედელიძე სპეციალური ოპერაციების ძალებში ექიმად მსახურობდა. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ხარჯს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს"-აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ დღეს საქართველო-რუსეთის საზღვართან ანტიტერორისტული ოპერაციის დროს სამი ქართველი სპეცრაზმელი დაიღუპა, ხუთი კი დაიჭრა. სპეცოპერაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს, რომლის მიზანი დივერსანტთა დაჯგუფების მიერ აყვანილი მძევლების გათავისუფლებაა.

გარდა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლისა, დაღუპული არიან შს სამინისტროს თანამშრომლები სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი.

მედიანიუსი

## საქართველოს მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის განცხადებით, საქართველოს მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ქართული სახელმწიფო იცავდა და დაიცავს მათ უსაფრთხოებას.

„ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ იყვნენ მშვიდად იმიტომ, რომ დღეს, განსხვავებით 10 წლის წინანდელისგან და განსხვავებით იმისგან, სადაც ზოგიერთ ჯგუფს უნდა ჩვენი მიბრუნება, დღეს საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს შეიარაღებული ძალები, პოლიცია, ხელისუფლება და დღეს საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც დაიცავს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას, ნებისმიერ პირობებში. ამიტომ რაც არ უნდა დიდი იყოს პრობლემა, გამოწვევა ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს მოსახლეობას შეუძლიათ იყვნენ მშვიდად, ქართული სახელმწიფო იცავდა და დაიცავს მათ უსაფრთხოებას,"-აღნიშნა ბაქრაძემ.

მედიანიუსი

# მამუკა არეშიძე: ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია ეჭვებს იწვევს"

### ლაფანყურის სპეცოპერაცია დიდი მსხვერპლით დამთავრდა

ნათია ხურცილავა

ლოპოტას ხეობაში შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით ანტიტერორისტული ოპერაცია გუშინ მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გავრცელებული ინფორმაციით, საზღვართან მობილიზებული იყო 200-ზე მეტი პოლიციელი და სამხედრო, ასევე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები. ტერიტორია მთელი ღამის განმავლობაში ვერტმფრენებით კონტროლდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა კრიზისების მართვის შტაბი, რომელშიც შედის შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროები.

შემუშავებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველო-დაღესტნის საზღვარზე, ლოპოტას ხეობაში მიმდინარე დევნის ოპერაციისას ქართველი სპეცრაზმელის დაღუპვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გააკეთა.

– მე ამაზე ვერ გეტყვით ვერაფერს, – განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ.

მისივე ინფორმაციით, მძევალთა გათავისუფლების დროს მოკლულია ერთ-ერთი დივერსანტი.

– ბოლო დღეების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებდა მძევალთა რამდენიმე ჯგუფის გათავისუფლების ღონისძიებას. მძევალთა ბოლო ჯგუფის გათავისუფლების დროს ურთიერთსროლის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა დივერსანტთა შეიარაღებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, – აღნიშნა მახარაძემ.

სალომე მახარაძის თქმით, ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით გრძელდება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ლოპოტას ხეობაში დევნის ოპერაციისას 28 წლის სპეცრაზმელი დაიღუპა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შოთა ხიზანიშვილის ინფორმაციით, რომელიც მან მოგვიანებით ბრიფინგზე გააკეთა, დაღუპულია ორი სპეცრაზმელი და ერთი თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმის სამხედრო ექიმი, დაჭრილია 5 სპეცრაზმელი.

საქართველო-დაღესტნის საზღვართან, ლოპოტას ხეობაში მიმდინარე დევნის ოპერაციაზე განცხადება თავდაცვის სამინისტრომ გუშინ გაავრცელა.

– ხეობაში გრძელდება ანტიტერორისტული ოპერაცია შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილია კრიზისების მართვის შტაბი, რომელშიც შედის შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროები. შემუშა-



ვებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, – აღნიშნულია განცხადებაში. რამდენადაც ცნობილი გახდა, დივერსიულმა ჯგუფმა მძევალთა სამი ჯგუფი აიყვანა, მათ შორის იყვნენ ის ახალგაზრდებიც, რომლებიც ლაფანყურიდან 26 აგვისტოს გაუჩინარდნენ.

აღნიშნული ხუთი ახალგაზრდის გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერაციის შედეგად გათავისუფლებულია მძევალთა კიდევ ერთი ჯგუფი.

გუშინ დილით, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის გავლით, დევნის ოპერაციის მიმდინარეობისას ადგილზე პოლიციის კიდევ ერთი კოლონა შევიდა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია ახლდა.

ოპერაცია თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურიდან დაახლოებით 30 კმ-ის მოშორებით მიმდინარეობდა, სადაც ტყის მასივზე საქართველოსა და დაღესტნის საზღვარი გადის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული შეიარაღებული დაჯგუფების დევნის ოპერაცია. რაც შეეხება დეტალებს, ამასთან დაკავშირებით ადგილზე არანაირი ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

მოგვიანებით, როგორც ცნობილი გახდა, ბაჩო ახალაიამ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სოფელ ლაფანყურში ოპერაციის დაწყების დროიდან იმყოფებოდა, გამთენიისას სოფელი დატოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეიარაღებული დაჯგუფების მიმართ დევნის ოპერაციის განხორციელების დროს ლიკვიდირებულია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი. ამის შესახებ შინაგან საქმეთა

გაგრძელება მე-4 გვერდზე



## რობერტ სტურუა: ჩათვალეთ, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში სააკაშვილმა მარიამობას დაიწყო

კახეთში, სოფელ ლაფანყურთან მიმდინარე პროცესებს ცნობილი რეჟისორი რობერტ სტურუა ეხმაურება და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა სამოქალაქო ომი დაიწყო.

როგორც რობერტ სტურუა სოციალურ ქსელ „ფაცებოოკ"-ის საკუთარ გვერდზე წერს, ახლა მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილის პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებს და სამშობლოდან გააძევებს.

„ასეც ვიცოდი, დაიწყეს ჩვენმა „მშვიდობის მაძიელებმა" სამხედრო პროვოკაციები. ჩათვალეთ, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში სააკაშვილმა მარიამობას დაიწყო. აი, ნამდვილი ქართველი მორწმუნე „ვაჟკაცი". ახლა ივანიშვილს პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებს და სამშობლოდან გააძევებს. მერე ყველაზე აქტიურ ოპოზიციონერებს დაიჭერს, აწამებს, გააქრობს, ისედაც უკვე გაყალბებულ არჩევნებს უფრო გააყალბებს, დარჩება ბედკრულ საქართველოს მმართველად, ერთ-ორ უგემოვნო ქალაქით, შენობებით დაამშვენებს ჩვენ ქვეყანას და თავის რექტორ-დედიკოსთან და ბებია-ბიზნესმენთან ერთად თათქარიძეებივით რუსულ თვითმფრინავებს ჭერზე ბუზებივით დაითვლის", – აცხადებს სტურუა.

მედიანიუსი

## ლაფანყურის ოპერაციისას სპეცრაზმის სამი თანამშრომელი და 11 დივერსანტი დაიღუპა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სამინისტროს მიერ ლოპოტას ხეობაში შეიარაღებული დაჯგუფების მიმართ დევნის ოპერაციის განხორციელების დროს დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის სამი თანამშრომელი და დაიჭრა ხუთი.

რაც შეეხება დივერსანტთა ჯგუფს, ლიკვიდირებულია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი. ამჟამად ალყაშია მოქცეული ექვსი დივერსანტი. მიმდინარეობს მათი დაკავების ღონისძიება.

შსს მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს გარდაცვლილების ოჯახებს.

მედიანიუსი



## სამხედრო პირი, რომელმაც თავი დღეს მოიკლა, ლაფანყურიდან იყო

კოალიცია „ქართული ოცნების" თელავის ოფისის ხელმძღვანელი, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხში, ირაკლი სესიაშვილი თელავში ყოფილი სამხედრო პირის თვითმკვლელობას საეჭვოდ მიიჩნევს.

როგორც „მედიანიუსს" სესიაშვილმა განუცხადა, სამხედრო პირის თვითმკვლელობის ამბავი საეჭვოდ დაემთხვა ლაფანყურთან მიმდინარე მოვლენებს.

ის სამხედრო პირი, რომელმაც თავი გუშინ მოიკლა, სწორედ ლაფანყურიდან იყო"– აღნიშნა სესიაშვილმა.

მისივე აზრით, გუშინ ხუთი მძევლის გათავისუფლებაც საკმაოდ საეჭვო ვითარებაში მოხდა, რადგან მათი გათავისუფლებისას ტყვიაც კი არ გავარდნილა.

სესიაშვილი დივერსანტთა დაჯგუფებებისგან მძევალთა გათავისუფლების შესახებ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციასაც ეხმაურება და აცხადებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მძევლების შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

„ხელისუფლების განცხადებები იმის შესახებ, რომ საქმე დივერსანტების დაჯგუფებებისგან მძევალთა გათავისუფლებას ეხება, რამდენად სარწმუნოა, არ ვიცი, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას მძევლების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ"-აღნიშნა სესიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვართან შეიარაღებული დაჯგუფების დევნის ოპერაცია მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს.

მედიანიუსი

## საქართველო-რუსეთის საზღვარზე აყვანილი ყველა მძევალი გათავისუფლებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამისტრის მოადგილის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე აყვანილი ყველა მძევალი გათავისუფლებულია.

მისი თქმით, დაღუპულთა შორის ორი სპეცრაზმელი და ერთი თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმის სამხედრო ექიმია. დაჭრილია ხუთი სპეცრაზმელი.

ლიკვიდირებულია 11 დივერსანტი, 6 კი ალყაშია. მათი დაკავების ოპერაცია გრძელდება.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# დაღესტნის მთებში რუსი სამხედროების კონცენტრირება ხდება

საქართველოსა და აზერბაიჯანთან რუსეთის საზღვარზე, დაღესტნის მთებში რუსი სამხედროების კონცენტრირება ხდება, –– იუწყება საინფორმაციო პორტალი „კონტაქტ.აზ“.

წყაროს ცნობით, ეს ინფორმაცია მთელი რიგი დაღესტნური ინტერნეტსაშუალებებით ვრცელდება. კერძოდ, ლაპარაკია ბოტლიხის რაიონზე, სადაც ცოცხალი ძალა და ტექნიკა დიდი რაოდენობით იყრის თავს. საიტ „დაღესტან.ქომ“-ის ცნობით, ჯავშანკოლონის მოძრაობისას სოფელ საგადას სიახლოვეს, ხეობაში, ჯავშანმანქანა გადავარდა და აფეთქდა. მომხდარს რუსი სამხედროები ემსხვერპლნენ. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, სამხედროები ტყის მასივების ბლოკირებასა და საჰაერო დარტყმას აპირებენ. ერთ-ერთი ცნობით, ამ სამზადისის მიზანი დაზამთრებამდე მოჯაჰედების მთიანი ბაზების განადგურებაა. სხვა მონაცემებით, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის მზადება იწყება.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ცნობილმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოში ჯარის შეყვანას აპირებს იმ შემთხვევაში, თუკი აშშ ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას დაიწყებს. მოსკოვი ამ ნაბიჯს იმიტომ გადადგამს, რომ სომხეთში თავისი სამხედრო ბაზის დებლოკირება მოახდინოს. ეს უკანასკნელი შეიძლება დაიბლოკოს, რადგან მისი მომარაგება სწორედ ირანის გავლით ხდება.

ამიერკავკასიაში რუსი სამხედროების ყოფილი ხელმძღვანელის, იური ნეტკაჩოვის განცხადებით, შესაძლოა, სამხედრო საშუალებების გამოყენება გახდეს აუცილებელი, რათა მოხდეს საქართველოს სატრანსპორტო ბლოკადა და სომხეთში შემავალი სატრანსპორტო დერეფნები შეიქმნას.

სამხედროების კონცენტრაცია საქართველოს საზღვრის სიახლოვეს „სტრატეგიული“ სამხედრო სწავლება „კავკაზ-2012“-ის საფარველქვეშ მიმდინარეობს, რომელიც სექტემბერში იგეგმება. „კონტაქტ-აზ.“ მკითხველებს შეახსენებს, რომ 2008 წელს სამხედრო სწავლება „კავკასია-2008“-მ საშულება მისცა მოსკოვს, ფარულად გაეშალა თავისი ძალები, რომლებიც საქართველოში წარმატებით შეიჭრნენ. ბოლო თვეებში რუსი სამხედროები ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ახალი შეიარაღებითა და დესანტთა ქვედანაყოფებით მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. ექსპერტები ასევე არ გამორიცხავენ მოსკოვის მისწრაფებას, ზეწოლა მოახდინონ თბილისზე საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. მისი მიზანი ქართული ძალების მხარდაჭერა იქნება, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მთავრობის გადაყენებას შეეცდებიან.

**მედიანიუსი**

# რუსები საქართველოს საზღვართან ჰოსპიტალს აწყობენ

დაღესტანში, საქართველოს საზღვართან რუსები ჰოსპიტალს აწყობენ, –– იუწყება „ჩეჩენ-ინფო“. აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი რუსული მობილური სამხედრო ბაზაა განთავსებული. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ აპირებენ კატასტროფის მედიცინის ჰოსპიტალის მოწყობასაც, რომელსაც დღე-ღამის განმავლობაში 300-მდე დაჭრილის მიღება შეუძლია. საჭიროების შემთხვევაში, ის ადგილობრივ მოსახლეობასაც მოემსახურება. ჰოსპიტალს უკვე ჰყავს მანქანა კოსმოსური კავშირით.

ამასთან, „ჩეჩენ-ინფო“ იუწყება, რომ საქართველოსთან მოსაზღვრე ტერიტორიები, შესაძლოა, მასშტაბური სამხედრო ღონისძიებების ადგილად იქცეს. შესაძლოა, ეს არის მზადება საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი შეჭრისათვის. ამასთანავე, წყარო არც იმას გამორიცხავს, რომ ეს რუსული ჯარების მხრიდან დაღესტანში სადამსჯელო ოპერაციებისთვის მზადება იყოს.

წყაროს ცნობით, ოპერატიული სამზადისი ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 20 აგვისტოს დაიწყო, როცა ადგილზე ჩავიდა წარმომადგენლობითი რუსული დელეგაცია უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელის, გენერალ-ლეიტენანტ მიხაილ სტრეხას ხელმძღვანელობით.

**მედიანიუსი**

# პაატა ზაქარეიშვილი: „ლაფანყურის სპეცოპერაცია სააკაშვილის დაგეგმილი სამხედრო პროვოკაციაა“

**ნონა ცაბაძე**



ლოპოტას ხეობაში განხორციელებულ დევნის ოპერაციას ექსპერტ-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი სააკაშვილის მიერ დაგეგმილ სამხედრო პროვოკაციას უწოდებს. ექსპერტი აცხადებს, რომ არჩევნების წინ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, რომ ის ყველანაირ პროვოკაციაზეა წამსვლელი.

– სააკაშვილისგან არაფერს არ გამოვრიცხავ საერთოდ. მისგან აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად ვართ, ეს კაცი არის წერას აყოლილი, ყველაფერზე წამსვლელი, რაც კი შეიძლება უკუღმართი და ბოროტება ადამიანის თავში დაიბადოს, ყველაფერი შეიძლება დაიბადოს სააკაშვილის თავში. არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა და ის ყველაფერს გააკეთებს სიტუაციის ასარევად. მთავარია, რომ არც ჩვენ და არც მეზობელი ქვეყნები არ აყვნენ სააკაშვილის პროვოკაციას, – აცხადებს ექსპერტი და იქვე იმასაც დაურთავს, რომ ყველამ კარგად აწონ-დაწონოს თავისი ნაბიჯები. სააკაშვილს იარაღის გამოყენების ლეგიტიმური უფლება არავინ უნდა მისცეს. მას არ უნდა ჰქონდეს თავის მართლების საშუალება, თორემ ის რომ წამსვლელია ამაზე, ეს ყველამ იცის. სააკაშვილი ძალიან ბინძურად ეთამაშება თემას, რასაც ჰქვია პრობლემები ჩრდილო კავკასიაში. საქართველოს ეს ბუმერანგივით მოუბრუნდება, მაგრამ სააკაშვილს ფეხებზე ჰკიდია. ის აშკარად ხელებს აფათურებს ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, რაც აწყობს ჩრდილო კავკასიაში არსებულ ძალებს, მაგრამ პრობლემა ისაა, აწყობს თუ არა ეს საქართველოს. საქართველოს ეს არ აწყობს, ხოლო სააკაშვილს ეს აწყობს.

რუსეთი მუდმივად ლაპარაკობს, რომ საქართველო ეხმარება ჩეჩენ ტერორისტებს და არაა გამორიცხული, რომ ახლა, ამ ფონზე რუსეთმა ეს დაამტკიცოს. აქამდე ამას ვერ ამტკიცებდა. რასაკვირველია, ეს იქნება საკმაოდ სერიოზული სკანდალი, საქართველოს ისედაც გატეხილი აქვს სახელი საერთაშორისო დონეზე, ჩვენ მიმართ აქვთ ბევრი პრეტენზია საერთაშორისო ორგანიზაციებს და ამან შეიძლება კიდევ უფრო შელახოს საქართველოს ავტორიტეტი მსოფლიოში, – აცხადებს ზაქარეიშვილი

„ახალი თაობა“ **პაატა ზაქარეიშვილთან** ინტერვიუს გთავაზობთ.

***– ბატონო პაატა, რა შეფასებას მისცემდით საქართველო-დაღესტნის საზღვარზე განხორციელებულ ე.წ. დევნის ოპერაციას?***

– ეს არ არის ახალი სახის პროვოკაცია. სამწუხაროდ, ეს სააკაშვილის ძველი სახის პროვოკაციაა, იგივე რაც გააკეთა მან 2008 წლის 21 მაისს, არჩევნების დღეს. გალის რაიონში, სოფელ ხურჩაში მაშინ ორი ავტობუსი დაიწვა და მთელი დღე ლაპარაკობდნენ ამაზე. ამ ტიპის პროვოკაცია მოსალოდნელი იყო. ჯერჯერობით ფაქტები ძალიან მწირია და ძნელი სათქმელია, ვინ არიან ის ახალგაზრდები, ვინც იქიდან არიან გატაცებულები, ისინი ნამდვილად გატაცებულნი იყვნენ, შეკრულები არიან, დამუშავებულები არიან ხელისუფლებისგან თუ უნებლიე მონაწილეები არიან ამ სპექტაკლისა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს ხელისუფლება გარკვეულწილად შეკრულია ჩეჩნური მოძრაობის ლიდერებთან და მე მგონი, ერთად დადგეს ეს ახალი სპექტაკლი. დრო გავა და ჩვენ დავამტკიცებთ ამას. იმდენად ცნობილია ჩემთვის სააკაშვილის სტილი, რომ არ გამოვრიცხავ ჩემს ჰიპოთეზას ჰქონდეს საფუძველი, რომ ეს იყო დადგმული სპექტაკლი. ხელისუფლება რომ შეიცვლება, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან ბევრ პროვოკაციას ფარდას ავხდით და ვაჩვენებთ საზოგადოებას, რომ ეს ყველაფერი იყო დადგმული სპექტაკლი.

***– რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს? ისიც ითქვა, რომ ოპოზიციას დაადანაშაულებენო...***

– რა თქმა უნდა, დაადანაშაულებენ, შეიძლება ვიღაც მოისყიდონ ოპოზიციიდან, ან ჰყავდეთ კიდეც აგენტი, თუმცა მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ ოპოზიცია სერიოზულად ჩაითრიონ ამ პროცესებში, იმიტომ, რომ ოპოზიცია ჯერ პროცესებს ვერ მართავს. პროცესებს მართავს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლება. პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას. ისევე როგორც პასუხისმგებლობა ეკისრება 2008 წლის 21 მაისისა, ისევე როგორც 3 ივლისს, როდესაც სანაკოევზე მოხდა თავდასხმა და ამან გამოიწვია 8 აგვისტოს ომი და დღემდე გამოძიებული არ არის, რა ვითარებაში მოხდა სანაკოევზე თავდასხმა. უამრავ ასეთ პროვოკაციაზე გვაქვს ჩვენ ინფორმაცია და საჭირო იქნება ამათი სერიოზული გამოძიება. ყველაფერი მოსალოდნელია ამათი მხრიდან. სააკაშვილი ძალიან ბინძურად ეთამაშება თემას, რასაც ჰქვია პრობლემები ჩრდილო კავკასიაში. საქართველოს ეს ბუმერანგივით მოუბრუნდება, მაგრამ სააკაშვილს ფეხებზე კიდია. ის აშკარად ხელებს აფათურებს ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, რაც აწყობს ჩრდილო კავკასიაში არსებულ ძალებს, მაგრამ პრობლემა ისაა, აწყობს თუ არა ეს საქართველოს. საქართველოს ეს არ აწყობს, ხოლო სააკაშვილს ეს აწყობს.

***– რა შედეგი შეიძლება მივიღოთ ამ ყველაფრიდან გამომდინარე?***

– შედეგი რა შეიძლება იყოს, რუსეთმა თავის აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, მან მოაგვარა სიტუაცია კავკასიაში თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ახლა სოჭის ოლიმპიადა აქვს წინ და უნდა, რომ მშვიდობიან გარემოსი ჩაატაროს ეს ყველაფერი. ასევე ამ ფონზე გამორიცხული არ არის, რომ დაიძაბოს ვითარება, რადგან ჩრდილო კავკასიაში არიან ძალები, რომლებიც ებრძვიან რუსეთს, ეს ნორმალურია და ეს მათი საქმეა, მაგრამ როცა ამაში მხარს უჭერს მეზობელი სახელმწიფო და ამ შემთხვევაში საქართველო, თუ ეს გაიხსნა, რასაკვირველია, იქნება ძალიან სერიოზული საერთაშორისო სკანდალი. რუსეთი მუდმივად ლაპარაკობს, რომ საქართველო ეხმარება ჩეჩენ ტერორისტებს და არაა გამორიცხული, რომ ახლა, ამ ფონზე რუსეთმა ეს დაამტკიცოს. აქამდე ამას ვერ ამტკიცებდა. რასაკვირველია, ეს იქნება საკმაოდ სერიოზული სკანდალი, საქართველოს ისედაც გატეხილი აქვს სახელი საერთაშორისო დონეზე, ჩვენს მიმართ აქვთ ბევრი პრეტენზია საერთაშორისო ორგანიზაციებს და ამან შეიძლება კიდევ უფრო შელახოს საქართველოს ავტორიტეტი მსოფლიოში.

***– დასავლეთმა უკვე აქტიურად დაიწყო სააკაშვილის კრიტიკა. სააკაშვილის აღარ აქვს მათი მხარდაჭერის იმედი და ის უკვე ყველაფერზეა წამსვლელიო...***

– გეთანხმებით, სააკაშვილი ყველაფერზე წამსვლელია. იმდენად თეთრი ძაფითაა ნაკერი გუშინდელი პროვოკაცია, რომ მთავარია ახლა რუსეთი არ აყვეს ამ პროვოკაციას და რუსეთმა არ გამოიყენოს თავისი აგრესიული ძალა საქართველოს წინააღმდეგ. მთავარია არ გადაიზარდოს ეს იმ მასშტაბიან დაპირისპირებაში, რაც სჭირდება და აწყობს სააკაშვილს, რათა გადადოს არჩევნები. ტრაგედია ის არის, რომ სააკაშვილზე უკეთესი რუსეთს არავინ არა ჰყავს საქართველოში. ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია, რუსეთს როგორც უნდა, ისე მართავს თავის ინტერესებს კავკასიაში. სააკაშვილი მისი ყველაზე ერთგული მოკავშირეა. ჩვენი ეკონომიკის 80% რუსეთის ხელშია. რუსეთმა აისრულა ოცნება, მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და განაგებს ამ ტერიტორიებს. სააკაშვილმა რუსეთის ყველა ოცნება შეასრულა. ამიტომ პუტინი შეიძლება აყვეს თავის მოკავშირეს, გაუგოროს კოჭები და შექმნას დაძაბულობის კერა და პუტინს მიეცეს გარანტია, რომ სააკაშვილი შეინარჩუნებს ხელისუფლებას. პუტინს სააკაშვილი სჭირდება ხელისუფლებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვალდებული იქნება, დაელაპარაკოს ნებისმიერ ხელისუფალს, გარდა სააკაშვილისა. საჯაროდ გაცხადებულია, რომ სააკაშვილი პუტინს არ ელაპარაკება, ეს ფარისევლობაა, სინამდვილეში კი სააკაშვილი მას უთმობს ყველაფერს. ეკონომიკა ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია, მთელი სტრატეგიული ობიექტები დღეს რუსეთის ხელშია გადასული. ერთია ლაპარაკი და მეორეა საქმე, რასაც სააკაშვილი უკეთებს რუსეთს. ამიტომ როგორც ჩანს, პუტინს სჭირდება ასეთი სააკაშვილი და შეიძლება ეს პროვოკაცია კარგად დაგეგმილი ორმხრივი, რუსულ-ქართული პროვოკაცია იყოს.

***– ითქვა ისიც, რომ სააკაშვილი დარწმუნდა დასავლეთი მას გაყალბებულ არჩევნებს აღარ „გაუპრავებს“ და ახლა ის ცდილობს რომ რამენაირად მოახერხოს არჩევნების გადადებაო...***

– კი მაგრამ რამდენ ხანს გაწელავს ამას? როცა იქნება ხომ ჩატარდება არჩევნები? სააკაშვილი აგონიაშია. ეს არის განწირული ადამიანის ისტერიული ქცევა. სააკაშვილის ყველა ნაბიჯი არის წამგებიანი. უბრალოდ საზოგადოება წვალობს ამის გამო და იწელება საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის პერიოდი.

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# პრემიერმინისტრობის კანდიდატებს შორის პირველი დებატები 9 სექტემბერს გაიმართება

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებს შორის პირველი დებატები 9 სექტემბერს გაიმართება.

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კანონის მიხედვით, დებატებში მონაწილეობის უფლება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ლეიბორისტულ პარტიას აქვთ. 9 სექტემბრისთვის დაგეგმილ პირველ დებატებზე საზოგადოებრივი მაუწყებელი სწორედ ხსენებული პარტიების მიერ დასახელებულ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებს მიიწვევს. მეორე დებატები კი 18 სექტემბრისთვის, იმავე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების პირველ ნომრებს შორის იგეგმება.

„შესაბამისი ოფიციალური შეტყობინება პარტიებს დღესვე დაეგზავნებათ, რომელზეც წერილობით დასტურს ან უარს საზოგადოებრივი მაუწყებელი 4 სექტემბერს, 18.00 საათამდე ელის“, –– განაცხადა გიორგი ჭანტურიამ და დასძინა, რომ ეთერში მათი გასვლის დრო ჯერ დაზუსტებული არ არის.

დებატებისთვის კითხვები საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად, მოსახლეობის მიერ ყველაზე აქტუალურად გამოვლენილი თემატიკისა და მედიის წარმომადგენელთა მიერ გაგზავნილი შეკითხვების საფუძველზე შეირჩევა. დებატების ქრონომეტრაჟი დაახლოებით 1,20-დან 1,40 საათამდე იქნება. მისალმებისთვის ყოველ მონაწილეს 2 წუთი დაეთმობა. ამის შემდეგ გადაცემის წამყვანი თითოეულ რესპონდენტებს სამი კითხვით მიმართავს. დებატებს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტი ეკა მიშველაძე გაუძღვება.

**მედიანიუსი**

# ლაფანყურის მოსახლეობა საინფორმაციო ვაკუუმს უჩივის

თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ისინი საინფორმაციო ვაკუუმში არიან და სპეცოპერაციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

თუმცა როგორც „მედიანიუსს“ სოფელ ლაფანყურის რწმუნებულმა მორის პარკინაშვილმა განუცხადა, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და ამჟამად ლაფანყურს ელექტროენერგია მიეწოდება.

„ტექნიკური შეფერხების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება სოფელს 5 წუთით შეუწყდა. ამ დროისათვის ლაფანყურს ელექტროენერგია მიეწოდება“- აღნიშნა პარკინაშვილმა.



შეგახსენებთ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვართან დივერსანტები დაჯგუფებების დევნის ოპერაცია მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინანაციით ახორციელებს.

**მედიანიუსი**

# მამუკა არეშიძე: ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია ეჭვებს იწვევს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული. შსს-ს ინფორმაციით, ალყაშია მოქცეული 6 დივერსანტი და მიმდინარეობს მათი დაკავების ღონისძიება.

დევნის ოპერაციას, რომელიც საქართველო-დაღესტნის საზღვარზე მიმდინარეობს, როგორც აღვნიშნეთ, სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი ემსხვერპლა. დაიჭრა 5 სპეცრაზმელი.

მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გათავისუფლებული მძევლების ჩვენების ვიდეოჩანაწერი გაავრცელა.

ანტიტერორისტული ოპერაციისას ტყვეობიდან გათავისუფლებულების ინფორმაციით, გამტაცებლები 15-ზე მეტი იყვნენ და გაქცევის შემთხვევაში მოკვლით ემუქრებოდნენ. – ბუნებაში ვიმყოფებოდით საქეიფოდ მეგობრები, უკან რომ ვბრუნდებოდით, მოვყვებოდით მდინარის პირს, შეგვხვდა რამდენიმე ადამიანი, ავტომატით შეიარაღებული, წვერებში. გვითხრეს, რომ ვიყავით მძევლები და უნდა წავსულიყავით მათთან ერთად. მათთან ყოფნის დროს მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ თუ გაქცევას შევეცდებოდით, მოგვკლავდნენ, – აცხადებს ერთ-ერთი მძევალი.

ტყვეობიდან გათავისუფლებული მეორე მძევლის განცხადებით, გამტაცებლები 15-ზე მეტი იყვნენ და „დიდძალი შეიარაღება ჰქონდათ“.



„ახალი თაობა“ სამხედრო ექსპერტს, **ირაკლი სესიაშვილს** დაუკავშირდა, რომელიც დევნის ოპერციის დროს სოფელ ლაფანყურში იმყოფებოდა:

***– ბატონო ირაკლი, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და ადგილზე რა სახის ინფორმაცია ვრცელდება?***

– როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდან შეიარაღებული დაჯგუფება გადმოვიდა. სავარაუდოდ, ეს ის დაჯგუფებაა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ აქტებში მონაწილეობს. ამ შემთხვევაში მათი გადმოსვლის მიზანი ალბათ ან დასვენება იყო, ან უსაფრთხო ადგილის მოძებნა და დროებით გაჩერება. როგორც ჩანს, შემთხვევით გადააწყდნენ იმ ხუთ ახალგაზრდას, რომლებიც საქეიფოდ იყვნენ წასულები ლაფანყურიდან ალბათ ერთ-ორ კილომეტრში. იმის გამო, რომ ამ ახალგაზრდებს არ გაეთქვათ, არ ეთქვათ ხელისუფლებისთვის, რომ ხეობაში დაჯგუფებაა შემოსული, თან წაიყვანეს, რათა დრო მოეგოთ და სხვა უსაფრთხო ადგილზე გადასულიყვნენ.

***– მხოლოდ ამ ხუთ ახალგაზრდაზეა საუბარი? ვრცელდება ინფორმაცია სამ ჯგუფზე, რომლებიც მათ მძევლად აიყვანეს...***

– ხელისუფლება ავრცელებს ინფორმაციას, რომ სამი ჯგუფი იყო აყვანილიო. ადგილობრივი მოსახლეობა ამაზე არ საუბრობს. მათ არ იციან. მე ვერ გეტყვით, საიდან მოიტანა ხელისუფლებამ თუ სახელისუფლებო მედიამ ეს ჯგუფები, რადგან აქ ასეთ ინფორმაციას არავინ არ ფლობს. ლაფანყური ძალიან პატარა სოფელია და თუ ვინმე აივლის და იმ მიმართულებით წავა, ყველამ იცის ამის შესახებ, რადგან ყველა ყველას იცნობს. ამდენად, სხვა ჯგუფებზე ინფორმაციას არავინ არ ფლობს. როგორც ჩანს, ეს ახალგაზრდები გაათავისუფლეს და არ დამუქრებიან. რადგან მათი მიზანი იყო არა რეალურად ამ ახალგაზრდების მძევლად აყვანა, არამედ დროის მოგება, რომ მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ გაეთქვათ. თუმცა, მას შემდეგ, რაც ისინი ადგილობრივმა მოსახლეობამ აღმოაჩინა, უკვე გამოუშვეს მძევლები და ტერიტორიის დატოვებას შეეცადნენ, მაგრამ სპეცოპერაციამ მოუსწრო. როგორ მოხდა შეტაკება? როგორ დაიწყო სპეცოპერაცია? იყო თუ არა სპეცოპერაციის საჭიროება? ეს ის კითხვებია, რომელიც შეგვიძლია დავსვათ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება, სამართალდამცავი ორგანოები ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებენ. ასეთ ვითარებაში, როდესაც შანსი აღარ არის, რომ დაჯგუფება უკან გავიდეს, უმჯობესია, რომ ჩაბარდნენ და სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

***– ვინ ჩაბარდეს ხელისუფლებას?***

– ეს შეიარაღებული დაჯგუფებები.

***– თუ გაქვთ ინფორმაცია მათ აყვანასთან დაკავშირებით?***

– არა, ჯერ არ ჰყავთ აყვანილი.

***– რუსული შეიარაღებული ძალების გადაადგილება თუ შეინიშნება საზღვართან, ამაზე თუ ვრცელდება ადგილზე ინფორმაცია?***

– ჩრდილოეთ კავკასიაში მე თვალი არ მაქვს, არც სატელიტური მოწყობილობა და როგორ გითხრათ ამის შესახებ.

***– ამაზე იყო საუბარი და ამიტომაც დავსვი ეს კითხვა...***

– რუსებმა უნდა დაახვედრონ მათ ძალა. თუ აქედან გაქცევა შეძლეს ან ჩვენ კორიდორი მივეცით, მაშინ იქ უნდა დახვდნენ.

***– სად იმყოფებით ახლა?***

– ლაფანყურში.

***– სროლის ხმა თუ ისმის?***

– არა, აქედან დაახლოებით 24 კილომეტრია იქამდე, აქ გზა გადაკეტილია და იქამდე აღარ უშვებენ.

კიდევ ერთი ექსპერტის კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძის** აზრით, საქართველო-დაღესტნის საზღვარზე, ლოპოტას ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაცია მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია.

– საზღვრის პერიმეტრზე ამ ტიპის ქმედება მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს, მით უმეტეს, რომ ბოლო ერთი კვირაა, დაღესტნის ინტერნეტსივრცეში ძალიან დაჟინებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაღესტანი-საქართველოსა და დაღესტანი-აზერბაიჯანის საზღვარზე რუსეთის ჯარების სერიოზული კონცენტრაცია შეინიშნება. რუსეთი თავს იმართლებს, რომ ეს „კავკასია 2012“-ის მზადების პროცესში ხდება, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ეს არა ჯარების გადაადგილება, არამედ ჯარების კონცენტრაციაა. აქედან გამომდინარე, ლოპოტას ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაცია გარკვეული ეჭვების შემცველია, – განუცხადა მამუკა არეშიძემ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას. არეშიძის განმარტებით, ის ეჭვობს, რომ „ყველაფერი მარტივად არაა“. ის ფაქტიც ამყარებს ამ ეჭვს, რომ დაკარგული ადამიანების მოსაძებნად შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ამხელა სპეცოპერაცია წამოიწყო“.

– შეიძლება ეს ახალგაზრდები მართლაც ვიღაცას გაეტაცებინა, მაგრამ ასეთი რამ საქართველოში ხდებოდა 90-იან წლებში და მას შემდეგ ეს არ გაგვიგია. გაგვიგია დაკარგული ახალგაზრდების ამბავი სხვა რაიონებში, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით ამხელა სპეცოპერაციას ვერ ვიხსენებ. მე მეჩვენება, რომ სხვა რამეშია საქმე. არ ვიცი, რამდენად რეალურია თვითონ ის ისტორია, რაც იქ მოხდა, თუმცა ჩემი მრავალწლოვანი გამოცდილება მკარნახობს, რომ ეს ასე მარტივად არ არის“, – აცხადებს არეშიძე.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს ბლოკირებული აქვთ ხეობა. საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა ზომა მიღებულია, აცხადებს შინაგან საქმეთა უწყება.





# ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ლაფანყურის სპეცოპერაციის თემის პოლიტიზება არამართებულია

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურთან განვითარებულ მოვლენებს საქართველოსთვის საფრთხის შემცველს უწოდებს.

როგორც ნუგზარ წიკლაურმა „ნიუსპრესთან“ საუბრისას აღნიშნა, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მიერაა ოკუპირებული, შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ნებისმიერი მონაკვეთი საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს.

„ამიტომ, რადგან ასეთი ვითარებაა ორმაგად მობილიზებულები უნდა იყვნენ, როგორც ჩვენი სამხედრო ფორმირებები და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფების ერთიანობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც საქართველოს სუვერენიტეტი ჰქვია“ – განაცხადა წიკლაურმა.

რაც შეეხება საქართველოში დივერსანტთა ჯგუფების შემოსვლას, წიკლაურის განცხადებით, ამაზე საუბარი სპეცოპერაციის დასრულებამდე შეუძლებელია.

„ნებისმიერი პოლიტიკური სპეკულაცია ამასთან დაკავშირებით და საერთოდ ამ თემის პოლიტიზება არამართებულად მიმაჩნია. ფაქტი ერთია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში და განსაკუთრებით, დაღესტანში უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციაა“ – განაცხადა წიკლაურმა.

მისივე თქმით, ორიოდე დღის წინ დაღესტანში სულიერი ლიდერი მოკლეს, ასევე, რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებს დაესხნენ თავს. აქედან გამომდინარე, წიკლაურის თქმით, ვითარება კონტროლიდანაა გამოსული.

„ამდენად, ძალიან ძნელია საუბარი იმაზე თუ რა წარმომავლობისაა ეს კონკრეტული დივერსანტული ჯგუფი. შესაძლოა, ისინი დაღესტნის წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლები არიან, შესაძლოა, რუსეთის ოფიციალური ფორმირების წარმომადგენლები. ამიტომ, ყველაფერი სპეცოპერაციის დასასრულს გაირკვევა“ – აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

ნიუსპრესი

# ვინ არიან ახალგაზრდები, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეს და ოცნებაში გადავიდნენ“

**ტელეკომპანიებმა „მეცხრე არხმა“, „მაესტრომ“ და სააგენტომ „ინფო9“ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ახმეტაში „ნაციონალური მოძრაობის“ 8 წევრმა პარტია დატოვა და „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა.**

„ეს ახალგაზრდები არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ბირთვი, ვის გარშემოც აწყობილი იყო „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ვერ შეძლეს ამ ახალგაზრდების დაშინება, დაკნინება. ეს ახალგაზრდები ისევ იმ სულისკვეთებით არიან შემართებული, რა სულისკვეთებითაც გუშინ იყვნენ, ვერ დააშინეს და ეხლა აგრძელებენ ეს ახალგაზრდები, გვიდგანან ისევ გვერდით“, – განაცხადა ამ ფაქტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის წევრმა ოთარ კვირიკაშვილმა.

„მე და ჩემმა თანამოაზრეებმა მივიღეთ მყარი გადაწყვეტილება და დავტოვეთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის რიგები და შემოვუერთდით კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულ ორგანიზაციას დასტურად იმისა, რომ ჩვენ გვჯერა საქართველოს ძლიერების და ერთიანი მომავლის“, – აღნიშნა ანზორ ბოდაველმა.

„ახმეტაში „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები „ქართულ ოცნებას“ შეუერთდნენ. პარტიის შეცვლის მიზეზად ახალგაზრდები ხელისუფლების მხრიდან ბოლო დროს განხორციელებულ ქმედებებს ასახელებენ. ისინი დანარჩენ თანატოლებსაც ერთ გუნდში გაერთიანებისკენ მოუწოდებენ. მათი მხრიდან საჯაროდ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კახეთის რეგიონური შტაბის ხელმძღვანელი გიორგი ბოტკოველი ამას სიცრუეს უწოდებს“, – იუწყება ტელეკომპანია „მეცხრე არხი“.

„მაესტროს“ და სააგენტო „ინფო9“-ის სიუჟეტში საერთოდ არ ყოფილა დაფიქსირებული „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის პოზიცია, არადა იმავე დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ კახეთის კოორდინატორმა გიორგი ბოტკოველმა გაავრცელა განცხადება, სადაც ბოტკოველი ახალგაზრდების „ქართულ ოცნებაში“ გადასვლას უარყოფს.

„მინდა განვაცხადო, რომ ეს არის მათ მიერ ნაცადი ხერხი, დაგეგმილი პროვოკაცია და ტყუილი, რითაც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება და მედია. მინდა, მოვუწოდო ყველა სუბიექტს და განსაკუთრებით „ქართულ ოცნებას“, თავი შეიკავონ პროვოკაციული განცხადებებისგან და აწარმოონ სამართლიანი წინასაარჩევნო კამპანია. ვიმედოვნებ, „ნაციონალური მოძრაობის“ პროვოცირების მიზნით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ობიექტურად იქნება გადამოწმებული, როგორც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე მედიის მიერ და არ მოხდება ამომრჩეველის შეცდომაში შეყვანა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ბოტკოველის განცხადებითვე, პრესკონფერენციაზე ოთარ წიკლაურის უკან „ქართული ოცნების“ აგიტატორების შვილები იდგნენ. „ჩვენ ახლა ვაზუსტებთ ვინ იყვნენ ის ბავშვები და საზოგადოებას ინფორმაციას მივაწოდებთ. ისინი არ ყოფილან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არასდროს“, – განუცხადა ბოტკოველმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაინტერესდა ვინ არიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეს და კოალიციაში გაწევრიანდნენ. ოთარ წიკლაურმა 8 ახალგაზრდიდან მხოლოდ 2 ახალგაზრდის ვინაობის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია. ერთ-ერთი მათგანი ეთერ ღვინიაშვილი ნამდვილად „ქართული ოცნების“ წევრის ავთანდილ ღვინიაშვილის შვილი აღმოჩნდა. „დანარჩენების ვინაობას ვერ გეტყვით. ვერც ტელეფონის ნომრებს მოგცემთ, არ მაქვს. კიდევ გვექნება ასეთი პრესკონფერენცია, თუ ვერ შეძლეს ახალგაზრდების დაშინება“, – აღნიშნა ოთარ წიკლაურმა. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა მას ახალგაზრდებზე ზეწოლის კონკრეტული ფაქტების თაობაზეც ჰკითხა, რაზედაც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა.

***– კონკრეტულად რა ზეწოლა განხორციელდა და ვისზე?***

– არ ვიცი, უნდათ ამაზე საერთოდ ლაპარაკი?

***– თქვენ რა იცით, რა სახის ზეწოლა განხორციელდა?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მათ ცენტრალურ ოფისში ჯაშუშური საქმიანობა ხორციელდებოდა

კოალიცია „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, კოალიციის ცენტრალური ოფისის შენობის ნაწილში უკანონოდ შეჭრილმა გაურკვეველმა პირებმა, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში ჯაშუშურ საქმიანობას აწარმოებდნენ, ოფისის ტერიტორია მოულოდნელად დატოვეს.

ამის შესახებ ინფორმაცია და ვიდეომასალა ბიძინა ივანიშვილის გვერდზე გავრცელდა.

ვიდეომასალაში კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ გაურკვეველი პირები ოფისის ფართის ნაწილზე, რომელიც საცხოვრებლად და საოფისედ გამოუსადეგარია, მას შემდეგ დაბინავდნენ, რაც კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა და საოფისედ აღნიშნული შენობა შეირჩა.

კოალიციის ინფორმაციით, ეს პირები თავს შპს „ლაით ჯგუფის“ წარმომადგენლებად ასაღებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ შენობაში 150 კვადრატული მეტრის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გააჩნდათ, თუმცა, ამ დოკუმენტების წარმოდგენაზე უარს აცხადებდნენ.

როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, მას შემდეგ რაც უცნობებმა შენობა დატოვეს აღმოჩნდა, რომ მათ ბიოტუალეტი ჰქონდათ დადგმული და „ამ პირობებში ვერანაირი ფირმა ან ადამიანი ვერ გაძლებდა“.

„ეს არის მშვენიერი ადგილი იმისთვის, რომ კოალიციის ოფისის ნაწილს მაინც უსმინო და კომუნიკაციები აკონტროლო“ – აცხადებს სუბარი.

მისი თქმით, უცნობები მას შემდეგ გაუჩინარდნენ, რაც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციამ საქართველოში ყოფნისას განაცხადა, რომ არათანაბარი წინასაარჩევნო გარემოა.

კოალიციის მტკიცებით, სწორედ ეუთოს ჩარევის შედეგად მოგვარდა ასევე ოფისის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და სამშენებლო ლობის მოხსნის პრობლემა.

ნიუსპრესი

## სამაუწყებლო კომპანიებს ვალდებულებებს განუმარტავენ

31 აგვისტოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სამაუწყებლო კომპანიებთან შეხვედრა გაიმართება.

როგორც ,,მედიანიუსს" კომისიიდან აცნობეს, შეხვედრის მიზანია მაუწყებლებისთვის „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" შესახებ 2012 წლის 15 აგვისტოს მიღებული №9 დადგენილებით გათვალისწინებულ ვალდებულებზე დამატებითი განმარტებების მიცემა.

შეგახსენებთ, „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" შესახებ დადგენილებას თანდართული აქვს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმა, რომელიც ყველა სამაუწყებლო კომპანიამ კვირაში ერთხელ შევსებული სახით უნდა წარადგინოს კომისიაში.

**მედიანიუსი**

## ცესკო პარტიებს სარეგისტრაციო ვადებს ახსენებს

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტებს შეახსენებს, რომ პარტიული სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების, აგრეთვე თანდართული დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის ვადა 2012 წლის პირველ სექტემბერს იწურება.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა პარტია/საარჩევნო ბლოკი ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენს პარტიულ სიას. თუ კანდიდატი იმავდროულად წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. პარტია/საარჩევნო ბლოკი ვალდებულია მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია წარუდგინოს ცესკოს.

პროცედურულ ვადებთან დაკავშირებული გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტებს მიმართავს თხოვნით, – ყურადღებით მოეკიდონ აღნიშნულ საკითხს და დროულად დაიჭირონ თადარიგი ყველა საჭირო განაცხადისა და დოკუმენტაციის წარსადგენად.

**მედიანიუსი**

## ნაცმოძრაობამ ადმინისტრაციული რესურსების გამოუყენებლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებისას ადმინისტრაციული რესურსის არგამოყენებაზე მემორანდუმს შეუერთდა. მას პარტიის სახელით ხელი დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა მოაწერა. მემორანდუმი წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას კრძალავს. დოკუმენტი მოამზადა ცესკომ, 7-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ და უწყებათაშორისმა კომისიამ. ცესკო მოუწოდებს ყველა პარტიას, ხელი მოაწერონ მემორანდუმს.

მინაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდი ამ ინიციატივას მიესალმება.

„რაც მთავარია, რეფორმებს ვაგრძელებთ და მზად ვართ, ნებისმიერ უწყებასთან, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მიუკერძოებელ სადამკვირვებლო მისიებთან ვითანამშრომლოთ და ნებისმიერი ხარვეზი, თუ ასეთი იქნება, აღმოიფხვრას. ეს არის ჩვენი ცალსახა პოზიცია. ჩვენი პარტიის მიზანი ქვეყანაში დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარება და ხელშეწყობაა. ეს არჩევნები სამართლიანი და თავისუფალი იქნება, რასაც მთელი საზოგადოება ძალიან კარგად დაინახავს", –– განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

**მედიანიუსი**

## ხელვაჩაურის გამგებელმა თანამდებობდა დატოვა

ხელვაჩაურის გამგებელმა თეიმურაზ დუმბაძემ თანამდებობა დატოვა.

ის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა.

დღესვე ხელვაჩაურის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრებმა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ უკვე ყოფილი გამგებლის განცხადებას თანხმობა მისცეს.

,,მედიანიუსი" უკვე ყოფილ გამგებელს დაუაკავშირდა, რომელმაც თანამდებობიდან წასვლის მიზეზი არ დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით განცხადებას დღის ბოლოს გააკეთებს.

**მედიანიუსი**

## ბათუმის მერმა თანამდებობა დატოვა

ბათუმის მერმა რობერტ ჩხაიძემ პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა. გავრცელებული ინფორმაციით, გადადგომის მიზეზი მოახლოებული აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში გახდა. ჩხაიძე უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე სავარაუდოდ „ნაციონალური მოძრაობის" ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება. ჯერჯერობით უცნობია ვინ დაინიშნება ახალ მერად.

**მედიანიუსი**

# არჩევნების პროცესის გაშუქებისას ჟურნალისტებზე ზეწოლა არ უნდა მოხდეს

*ნათია ხურცილავა*



**60–ამდე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გუშინ „თბილისი მარიოტში" წინასაარჩევნოდ მედიაგარემოსთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პრესის წარმომადგენლებს მიაწოდა.**

**კახა კახიშვილმა, ლაშა ტუღუშმა, თამარ ჩუგოშვილმა, ნინო ლომჯარიამ, ქეთი ციხელაშვილმა მრავალფეროვან ინფორმაციასა და მედიაპლურალიზმზე ისაუბრეს.**

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილ მედიაგარემოსთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და მიიჩნევს, რომ მრავალფეროვან ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება.

განცხადების ტექსტი ფორუმის წარმომადგენლებმა დადეს, რომლის შემადგენლობაშიც 60 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია შედის.

– მიუხედავად სიტუაციის გარკვეული გაუმჯობესებისა, მედიაპლურალიზმის თვალსაზრისით, მრავალფეროვან ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისათვის, ამომრჩევლისთვის კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით ე.წ. მასტ-ქერისა და მასტ-ოფფერ-ის პრინციპების ამოქმედება წინასაარჩევნო პერიოდში, რომლის საფუძველზეც საკაბელო ოპერატორებმა საერთო მაუწყებლები თავიანთ პაკეტებში ჩართეს, წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს რეგულაცია სრულად ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებრივ ინტერესს, რამდენადაც საკაბელო ტელევიზიების მომსახურებით შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ქალაქების მაცხოვრებელთა ნაწილმა. რეგიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის კი, მრავალფეროვან ინფორმაციაზე წვდომის ერთადერთ საშუალებად კვლავ სატელიტური ანტენები რჩება, – ნათქვამია განცხადებაში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორის განმარტებით, შეშფოთებას იწვევს ტელეკომპანია „მაესტროს" სატელიტური ანტენების დაყადაღების ფაქტი.

– აღნიშნული ქმედება მიუღებელია, რამდენადაც ზღუდავს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების, საკუთრების უფლების რეალიზებას და სცდება სამართლებრივ ფარგლებს. ამავდროულად, ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია ხელისუფლების მიერ აღიარებული მასტ-ქერისა და მასტ-ოფფერ-ის პრინციპების სულისკვეთებასთან და დისკრიმინაციულ პირობებში აყენებს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც არ გააჩნია საკაბელო მაუწყებლობაზე წვდომა. ამასთან მიგვაჩნია, რომ მასტ-ქერისა და მასტ-ოფფერის წესების მოქმედებისათვის კანონით დადგენილი ვადები, რაც გულისხმობს მის შეწყვეტას არჩევნების წინა დღეს, არაგონივრულია და სრულად ვერ ასახავს საზოგადოებრივ ინტერესს. არჩევნებთან მიმართებაში, მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას განგრძობითად, ვინაიდან მას არ გააჩნია მხოლოდ ამომრჩევლის წინასაარჩევნოდ ინფორმირების ფუნქცია. პლურალისტული მედიაგარემო, ამავე დროს, არის არჩევნების მთლიანი პროცესის გამჭვირვალობის და მისდამი ნდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი და ზოგადად, დემოკრატიული პროცესის განუყოფელი კომპონენტი, – აღნიშნულია განცხადებაში.

ფორუმის წარმომადგენლების თქმით, მათ შეშფოთებას იწვევს ასევე ბოლო დროს ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის ფაქტებიც.

– ჟურნალისტებისათვის საარჩევნო ღონისძიებებზე დასწრებისა და გაშუქებისათვის შეუფერხებელი პირობების უზრუნველყოფა აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ ამომრჩეველმა მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია. ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობის თითოეული ფაქტის სრულყოფილი გამოძიება, დააკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა ძალადობის ინიციატორ და განმახორციელებელ პირებს და, ამგვარად, მოახდინოს მსგავსი ფაქტების პრევენცია, – ნათქვამია განცხადებაში. აღნიშნულ კონტექსტში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მოქალაქეებისთვის მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდებს, მათ შორის, კერძო ტელევიზიის მიერ სატელიტური ანტენების გავრცელებაზე შეზღუდვების მოხსნის გზით.

– თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოება მზად არის, მონაწილეობა მიიღოს პროცესის მონიტორინგში, მისი კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ეროვნული პლატფორმა ეხმაურება და იზიარებს ელჩების სამუშაო ჯგუფის განცხადებას, რომელიც ეხება საარჩევნო, მათ შორის მედიაგარემოსთან დაკავშირებულ პროცესებს და გამოთქვამს მზადყოფნას, რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია საარჩევნო პროცესებზე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მოვუწოდებთ ევროკავშირს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო წარმომადგენლობებს აღნიშნული საკითხები კვლავაც პრიორიტეტულად განიხილონ საქართველოს ხელისუფლებასთან ოფიციალურ კომუნიკაციაში და ამგვარად, მხარი დაუჭირონ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ამომრჩევლების ინტერესებს, – ნათქვამია განცხადებაში.

## ლეიბორისტებმა ორი რაიონის საარჩევნო კომისიაში საკუთარი წარმომადგენლები დაითხოვეს



პირველი ოქტომბრის საპალამენტო არჩევნების წინა პერიოდში მმართველი პარტია და პოლიტიკური კოალიცია ,,ქართული ოცნება" არჩევნების გაყალბების მიზნით, ზეწოლითა და მოქრთამვით ცდილობენ ლეიბორისტული პარტიის მიერ დანიშნული საარჩევნო კომისიის წევრების და მეთვალყურეების გადაბირებას, – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა და დასძინა, რომ ამ მიზეზით პარტიამ წალკისა და ყვარლის საარჩევნო კომისიის წევრები გაათავისუფლა.

გუგავას განმარტებით, საუბარია 50 ადამიანზე. მან ჟურნალისტებს საარჩევნო მოქრთამვა-გადაბირების თავიდან აცილების მიზნით პარტიის პოლიტიკური კომიტეტის მიერ შემუშავებული დადგენილება გააცნო.

,,პარტიის მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს(მეთვალყურეებს) ეკრძალებათ „ნაცუროცნების" წევრებთან გარიგებითი, ძმაბიჭურ-სუფრული ურთიერთობა. ფარულ-გარიგებით ურთიერთობაში შესული პარტიიდან დანიშნული კომისიის წევრები დაუყოვნებლივ გათავისუფლდებიან კომისიებიდან და მათი ვინაობა გახდება საჯარო", – განაცხადა გუგავამ.

პარტია მიმართავს მოსახლეობას, რომ თუ ადგილებზე პარტიის მიერ დანიშნული კომისის წევრები შევიდნენ ,,ნაცუროცნებასთან" გარიგებით ურთიერთობაში, დაუყოვნებლივ მიაწოდონ პარტიას ინფორმაცია.

**მედიანიუსი**

## ნაციონალური მოძრაობის სახელით სატელევიზიო დებატებში მონაწილეობას ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე მიიღებენ

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შეთავაზებულ სატელევიზიო დებატებში მონაწილეობას დათანხმდა.

როგორც პარტიის პრესსპიკერმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პირველი არხის პირდაპირ



ეთერში დებატებში მონაწილეობას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, ვანო მერაბიშვილი და საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიის პირველი ნომერი, დავით ბაქრაძე მიიღებენ. მისი თქმით, პარტიამ არაერთხელ აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მიზანი თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში გამარჯვებაა.

„ამიტომ გამოვიწვიეთ ოპონენტები წინასაარჩევნო დებატებში, რაც ხელს შეუწყობს ამომრჩევლის მხრიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას. მოვუწოდებთ ყველა პარტიას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საზოგადოებრივი მაუწყებლის შეთავაზებას, ფართო საზოგადოებრივ ინტერესს და მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო დებატებში", –– აღნიშნა ჩიორა თაქთაქიშვილმა.



შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიების პრემიერობის კანდიდატებს და საარჩევნო სიის პირველ ნომრებს დებატებში მონაწილეობას 9 სექტემბრიდან სთავაზობს. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელის თავმჯდომარემ, გიორგი ჭანტურიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კანონის მიხედვით, დებატებში მონაწილეობის უფლება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, კოალიცია „ქართულ ოცნებას" და ლეიბორისტულ პარტიას აქვთ.

**მედიანიუსი**

## სამართლიანი არჩევნები" დუშეთში ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტის გამოძიებას ითხოვს

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გამოიძიონ დუშეთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატის, ზურაბ ოტიაშვილის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი.

როგორც „სამართლიანი არჩევნები" იუწყება, 2012 წლის 27 აგვისტოს „მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დუშეთის საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ზურაბ ოტიაშვილმა ჩარგალში, 25 აგვისტოს, „ვაჟაობაზე" ერთ-ერთ ამომრჩეველს 500 ლარი გადასცა.

აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს თავად ზურაბ ოტიაშვილი, თანხის მიმღები მოქალაქე და რამოდენიმე თვითმხილველი. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი ქმედება წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს – „ამომრჩევლის მოსყიდვას", მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება აღნიშნულ ფაქტში დანაშაულის ნიშნების შესწავლის მიზნით.

**მედიანიუსი**

# ევროპამ სააკაშვილს ზურგი შეაქცია



**ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციას როგორმე დააბრალოს ის, რომ მას ხალხის ქუჩაში გამოყვანა უნდა და ამისთვის ნებისმიერ მიზეზს გამოიყენებს. სახელისუფლებო მედია საშუალებების პროპაგანდა იმისკენ არის მიმართული, რომ ამომრჩეველი დააშინონ, ისეთი სურათი შექმნან, რომ ივანიშვილის კოალიცია ხმების დასაცავად ხალხმრავალ აქციებს მოაწყობს და სამოქალაქო დაპირისპირებისკენ უბიძგებს. თუმცა ოპოზიციას ძალისმიერი საშუალებები არ გააჩნია, მას მშვიდობიანი აქციების გამართვას ვერც ხელისუფლება დაუშლის და ვერც საერთაშორისო დამკვირვებლები.**

თამარ ნინიძე

ხელისუფლების ბრალდებებს იმის თაობაზე, რომ ოპოზიცია სამოქალაქო დაპირისპირებისა და შუღლის პროვოცირებას მოახდენს, ოპოზიცია კერძოდ, პასუხობს, რომ თუ არჩევნები გაყალბდება და დარღვევებით გაიმართება, ცხადია, ოპოზიცია ხმების დაცვას საპროტესტო აქციებით შეეცდება, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით განხორციელებული პროტესტი.

სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბრის მწარე მაგალითი ახსოვს, ხელისუფლება 7 ნოემბრამდე ცოტა ხნით ადრე იმედოვნებდა, რომ ევროპა და შეერთებული შტატები საქართველოს ნატოში შესვლის საკითხს დღე-დღეზე დადებითად გადაწყვეტდნენ, მაგრამ 7 ნოემბერს ოპოზიციის აქციების სასტიკმა დარბევამ სააკაშვილის ხელისუფლებას ავტორიტეტი ძლიერ შეულახა. სააკაშვილმა იმის ნაცვლად, რომ საკუთარი ხალხისთვის ბოდიში მოეხადა, ხელი ოპოზიციისკენ გაიშვირა, რუსეთის აგენტების გამოსავლენად დაიწყო სპეცოპერაციების განხორციელება, აგენტები ოპოზიციის რიგებში მაინც ვერ აღმოაჩინა, რადგან მხოლოდ სატელეფონი საუბრები და ერთი-ორი შეხვედრა რუსეთის საელჩოს მაღალჩინოსნებთან საკმარისი მტკიცებულება არ აღმოჩნდა. სააკაშვილმა გააგრძელა მტრის ხატის ჩამოყალიბება ოპოზიციისაგან და პირდაპირ დაადანაშაულა ის ქვეყნის განვითარების შეფერხებაში, მათ შორის ევროატლანტიკურ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების ხელის შეშლაში. სააკაშვილმა არ მოინდომა იმის აღიარება, რომ სინამდვილეში ევროპის ლიდერები არ აპირებდა რუსეთის საზიანოდ საქართველოს ნატოში შესვლის საკითხის მხარდაჭერას. არც იტალიამ ბელუსკონის მეთაურობით, არც ანგელა მერკელმა და არც სარკოზიმ არ მოინდომეს რუსეთის წინააღმდეგ წასვლა. სააკაშვილს რეფორმების ტემპიც დაუწუნეს და 7 ნოემბერიც დასავლეთისთვის დროული საბაბი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სააკაშვილისთვის მესიჯები გაეგზავნათ საქართველო არ არის მზად ნატოს წევრობისთვის.

2009 წლის აპრილში გაერთიანებულმა ოპოზიციამ პარლამენტის წინ დიდი აქციები გამართა. დასავლეთისგან გვარიანად გაკრიტიკებულმა სააკაშვილმა მთელი ნაცმოძრაობა პარლამენტიდან მერიის შენობაში გადაიყვანა და ნაციონალი აქტივისტები მერიიდან იძლეოდნენ კომენტარებს. პარლამენტის დატოვების მიზეზად ხელისუფლებამ პროვოკაციებისგან თავის არიდება გამოაცხადა. 6 მაისს როცა ოპოზიცია პოლიციის სამმართველოს შენობასთან მივიდა, დაზარალდნენ ოპოზიციის ლიდერები, რამდენიმე ადამიანმა თვალი დაკარგა რეზინის ტყვიებისგან. მართალია ხელისუფლების განკარგულებით სპეცრაზმი ალაყაფის გარეთ არ გასულა, მაგრამ პოლიცია ხალხს დაედევნა და ჟურნალისტებს კამერები თავზე გადაამტვრია.

ეს იყო უიარაღო ხალხის ისეთივე სისასტიკით დარბევა, როგორც ეს მოხდა 7 ნოემბერს. ეტყობა ჩათვალეს, ევროპა მაინც არ გვიღებს ნატოშიო, და 26 მაისს ახალი სისასტიკით მოახერხებს ხალხის დარბევა, იყო მსხვეპლი, თუმცა სააკაშვილმა მეორე დღეს აღლუმი მაინც ჩაიბარა და ოპოზიცია შეაჩვენა, სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ და ეს განზრახვა ჩავუსალეთო. თუ ეს სახელმწიფო გადატრიალება იყო, მაშინ ეს ბრალდება უნდა წაეყენებინათ აქციის ლიდერებისთვის, ბადრი ბიწაძეს ახლა სულ ხულიგნობის მუხლით ეძებენ.

ყოველივე ამის გახსენება საჭირო იმისთვის გახდა, რომ ხელისუფლება მართლაც არ მოერიდება ახალ სისხლის ღვრას, ისევ იტყვის, რომ რუსეთის აგენტების გაუვნებელყოფის ოპერაციები ჩაატარა, მაგრამ ევროპა და სხვათა შორის არც ამერიკა ამას არ დაიჯერებენ. განაციონალიზებული ექსპერტი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, რომ თუ ოპოზიცია ფიზიკურ დაპირისპირებაზე წავა, სახელმწიფო მოახდენს რეაგირებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპერტებმა, პოლიტოლოგებმა, კონფლიქტოლოგებმა, მედიაექსპერტებმა და საერთოდ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მწვანე შუქი აუნთონ ისედაც მუდმივად ძალადობას ჩვეულ ხელისუფლებას.

შეეცდება თუ არა ხელისუფლება ძალადობას, მას ეს უკან მოუტრიალდება, დასავლეთი სააკაშვილს ისედაც არასერიოზულად აღიქვამს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ეს არ არის 1992 წელი, როცა გამსახურდიას დასამხობად კიტოვანის გვარდია და მხედრიონი იბრძოდნენ იარაღით ხელში, ოპოზიცია შეიარაღებული არ არის, ამიტომ სააკაშვილმა ტყვია რომ გაისროლოს, ვერაფრით ვერ აუხსნის დანარჩენ სამყაროს, რამ აიძულა ამის გაკეთება. ძალადობის პროვოცირება ნორმალურად მოაზროვნე ხელისუფლებას არ უნდა სურდეს, მაგრამ სააკაშვილის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად არის. ნაციონალები მიხვდნენ, რომ ევროპამ სააკაშვილს ზურგი შეაქცია, ამიტომ სააკაშვილი სკამის შენარჩუნებას ნებისმიერი მეთოდით ეცდება, ძალადობა მისგან მოულოდნელი არ იქნება. მთავარია, როგორ იმოქმედებს ოპოზიცია. ვინაიდან პროტესტი ადამიანის უფლებაა, რომელსაც ვერავინ წაართმევს, ოპოზიცია თუ მას ეს დასჭირდება ხმების დასაცავად ქუჩაშიც გამოვა, ცესკოშიც და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშეც.

# პაატა ზაქარეიშვილი: „ლაფანყურის სპეცოპერაცია სააკაშვილის დაგეგმილი სამხედრო პროვოკაციაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ბატონო პაატა ერთ-ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა ასეთი შეფასება გააკეთა, დროზე თუ არ გიშველეთ საქართველოსი ეგვიპტე და სირია განმეორდებაო, რამდენად არის ასე?***

– არა, საქართველოსი არ არის შეიარაღებული ოპოზიცია, ამიტომ ეგვიპტე და სირია ვერ განმეორდება. შესაბამისად ორი რამე არ არის საქართველოში, არ არის თავზეხელაღებული და შეიარაღებული, როგორიც არის მასადი, სააკაშვილი არის მშიშარა, პრიმიტიული მმართველი, კომიკური მმართველია. მას არა ჰყავს ძლიერი ჯარი, რომელიც ქართველ ხალხს იარაღს ესვრის. ქართულ ჯარში ქართველები არიან, ქართულ პოლიციაში ქართველები არიან, საქართველო პატარა ტერიტორიაა და ყოველ ჯარისკაცს ან პოლიციას ნათესავი ჰყავს საზოგადოებაში, ჰყავს ახლობელი, მეგობარი, მეზობელი, ამიტომ ვერ მოხდება შესაძლო ანგარიშსწორება საკუთარი ხალხის მიმართ, რასაც ახორციელებდა ან კადაფი, ან მუბარაკი, ან ახლა ახორციელებს ასადი. ვერც ხელისუფლებიდან ვერ იქნება ის აღვირახსნილი ანგარიშსწორება საზოგადოების მიმართ, რაც ამ ქვეყნებში მოხდა. შესაბამისად პასუხიც არ იქნება ასეთი. ჩვენთან ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლის და უპრობლემოდ. მთავარია, რომ სააკაშვილს არ მივცეთ ხალხისთვის სროლის ლეგიტიმური უფლება. ოპოზიციამ თავიდან უნდა აიცილოს ყველა პროვოკაცია, ამას უნდა ეცადოს და უნდა იცოდეს ისიც, რომ სააკაშვილს უნდა სისხლის ღვრა, რათა შემდეგ ეს ყველაფერი დააბრალოს ხალხს და დააბრალოს ოპოზიციას. როგორც რუსეთი მოიქცა, ისე წამოიწყო ომი, რომ მერე ყველაფერი დაბრალებოდა სააკაშვილს. სააკაშვილი, ხომ პუტინის მეორე ნაწილია. როგორც პუტინი შეეცადა, რომ საქართველოში დაწყებული ომი გადაებრალებინა სააკაშვილისთვის, ისე სააკაშვილი შეეცდება, რომ მის მიერ დაღვრილი სისხლი ოპოზიციას გადააბრალოს. ამიტომ ყველამ კარგად უნდა აწონ-დაწონოს თავისი ნაბიჯები და ლეგიტიმური უფლება არ მისცეს სააკაშვილს იარაღის გამოყენების.

***– გაჩნდა ვარაუდი, რომ არ არის გამორიცხული გამოაცხონ ფარული ვიდეო ჩანაწერები და თუნდაც იგივე ბიძინა ივანიშვილს სერიოზული ბრალდებები წაუყენონო. თქვენ რამდენად ხედავთ ამის საფრთხეს?***

– სააკაშვილი ყველაფერზე წამსვლელია და აქედან გამომდინარე, ყველაფრის საფრთხე არსებობს. მე ეჭვი მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რამე მოაგროვონ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ვინმე თავისი აგენტი დაესვათ რომელიმე ოპოზიციის ლიდერთან. ივანიშვილი ამ მხრივ საკმაოდ დაცულია, მასთან ასე იოლად შესვლა და გამოსვლა შესაძლებელი არაა, იქ ყველაფერი მოწმდება და ისინჯება, ასე რომ მასთან ფარული ჩანაწერის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაძლოა სხვა რომელიმე ოპოზიციურ ლიდერთან, რომელიც უფრო ხელმისაწვდომია, სადმე კაფეში, ან ოფისში დაედგათ ფარული გადამღები და პროვოკაციული კითხვები დაესვათ მისთვის და შემდეგ ეს გამოაქვეყნონ.

***– ესე იგი არ გამორიცხავთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდეს რაიმე ფარული ჩანაწერები, რომელსაც უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს?***

– სააკაშვილისგან არაფერს არ გამოვრიცხავ საერთოდ. მისგან აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად ვართ, ეს კაცი არის წერას აყოლილი, ყველაფერზე წამსვლელი, რაც კი შეიძლება უკუღმართი და ბოროტება ადამიანის თავში დაიბადოს, ყველაფერი შეიძლება დაიბადოს სააკაშვილის თავში. არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა და ის ყველაფერს გააკეთებს სიტუაციის ასარევად. მთავარია, რომ არც ჩვენ და არც მეზობელი ქვეყნები არ აყვნენ სააკაშვილის პროვოკაციას.

# ფხალაძე არ გამორიცხავს, რომ დაღესტნიდან საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების დივერსიული ჯგუფი გადმოსულიყო



საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე განვითარებული მოვლენების რამდენიმე ვერსიაზე საუბრობს

გეოპოლიტიკურ კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ფხალაძე.

ის არ გამორიცხავს, რომ ლოპოტას ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან შესაძლოა, გადმოსული იყოს ბოევიკთა ჯგუფი, რომელიც თვითნებურად მოქმედებს, ან დივერსიული ჯგუფი, რომლის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან.

„უფრო უარესი ვარიანტია, თუ ეს დივერსიული ჯგუფია, რომლის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან და რომლის მიზანია დესტაბილიზაციის ლოკალური კერების შექმნა“ – განაცხადა ფხალაძემ.

მისი აზრით, თუ ეს ბოევიკთა თვითნებურად მოქმედი ჯგუფია, პრობლემა ლოკალურია, ხოლო თუ აღნიშნული ქმედების უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან, ფხალაძე მიიჩნევს, რომ შესაძლოა, მსგავსი შემთხვევები განმეორდეს.

ამასთანავე, ფხალაძემ აბსოლუტურად გამორიცხა ქართული მხარის მიერ წინასაარჩევნოდ ვითარების ხელოვნურად დაძაბვა.

„როდესაც მსგავსი მოსაზრებები ჟღერდება, მათ როგორც მინიმუმ ძალიან სერიოზული არგუმენტაცია სჭირდება, რადგან საქმე ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას. აქ არ არის საუბარი რომელიმე პოლიტიკური ძალის ან პიროვნების რეიტინგზე, არამედ საკითხი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება“ – განაცხადა ფხალაძემ.

რაც შეეხება დაღესტანში რუსი სამხედროებისა და ტექნიკის კონცენტრაციას, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლოა, უკავშირდებოდეს როგორც სამხედრო წვრთნებს „კავკასია 2012“, რომელიც სექტემბერში უნდა დაიწყოს, ასევე დაღესტნის ტერიტორიაზე ბოლო დროს განხორციელებული ტერაქტების სერიას.

შსს-ს ინფორმაციით, სოფელ ლაფანყურში მძევალთა რამდენიმე ჯგუფის გათავისუფლების სპეცოპერაცია მიმდინარეობს. მძევალთა ბოლო ჯგუფის გათავისუფლების დროს, ორმხრივი სროლის შედეგად დივერსანტთა შეიარაღებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იქნა ლიკვიდირებული.

გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე სავარაუდოდ, დაღესტნიდან დივერსანტთა ჯგუფი გადმოვიდა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ გაუჩინარებული 5 პირის გარდა, მძევლად კიდევ ორი ჯგუფი აიყვანა.

მათ გასათავისუფლებლად ინტენსიური სროლა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

**ნიუსპრესი**

# თბილისის ზოგიერთ დასახლებას ხვალ წყლის მიწოდება შეუწყდება

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცნობით, დღეს, 1400 მმ-იან VII მაგისტრალურ წყალდენზე გადაუდებელი საავარიო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაა დაგეგმილი. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მაგისტრალური წყალდენის „გაზის დასახლებისა“ და იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მიმდებარედ გამავალ მონაკვეთებს.

საავარიო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, 30 აგვისტოს 11:00 საათიდან 31 აგვისტოს 11:00 საათამდე წყალმომარაგება შეუწყდება: სოფლებს – გლდანსა და გიორგიწმინდას; გლდანულას, გაზის, ცენტროლიტის, კონიაკისა და მუხიანის სამხედრო დასახლებებს და მიმდებარე აგარაკებს; ანდრონიკაშვილის, ბიჭვინთისა და რევოლუციის ქუჩებს; გლდანის მასივის III, IIIა, V, VI, VII, VIII მიკრორაიონებს და თემქის III მიკრორაიონს; სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის გლდანის საპატიმროს; „ჰაიდელბერგცემენტის“ ბეტონის ქარხანას.

საავარიო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას კომპანიის ტექნიკური ბრიგადები ხვალ დილიდან შეუდგებიან.

**მედიანიუსი**

# განმუხურში სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს 21 წლის მამაკაცი დაიღუპა

სოფელ განმუხურში სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს 21 წლის დიმა სიჭინავა დაიღუპა.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს მკვიდრი დიმა სიჭინავა განმუხურში ექიმ კამო ახალაიას კუთვნილი კოტეჯების მშენებლობაზე მუშაობდა. ერთ-ერთი ვერსიით, მისი სიკვდილი მწყობრიდან გამოსულმა ელექტროსადენმა გამოიწვია.

დიმა სიჭინავას ახალშერთული მეუღლე დარჩა.

**მედიანიუსი**

# ზაჰესში ავტოავარიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

თბილისში, ზაჰესის ხიდთან მომხდარი ავარიის შედეგად სამი ადამიანი გარდაიცვალა. „მერსედესის“ მარკის ავტომობილი, რომელშიც სამი მამაკაცი იჯდა, ჯერ კლდეს შეეჯახა, შემდეგ კი სავალი ნაწილიდან გადავიდა, გამყოფ ჯებირს დაეჯახა და გადავარდა.

სამივე მგზავრი სასწრაფო დახმარების მისვლამდე დაიღუპა.

**მედიანიუსი**

# აშშ-ს ვიზის მისაღებად ახალი პროცედურები ინერგება

აშშ-ს საელჩო ხვალიდან შეერთებული შტატების ვიზის მისაღებად საჭირო განაცხადის შეტანის ახალ პროცედურებს დანერგავს. ამის შესახებ აშშ–საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების თანახმად, ახალი სისტემა მთელ მსოფლიოში დაინერგება. საელჩოს ინფორმაციით, ახალი პროცედურა გამარტივებული და ხელმისაწვდომია და მომსახურების ღირებულების ერთ მოსაკრებელში გაერთიანებას ითვალისწინებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საელჩო მხოლოდ ერთი მოსაკრებლის გადახდით, ვიზის მიღების მსურველ მოქალაქეს სხვადასხვა მომსახურებას შესთავაზებს. კერძოდ, მომსახურებაში შედის – ვიზის საფასურის გადახდა საკონსულოს მიერ შერჩეული ბანკის ნებისმიერ ფილიალში, სავიზო გასაუბრების დანიშვნა ტელეფონით, ქოლ-ცენტრის მეშვეობით და ელექტრონულად, ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ვიზის გაცემის შემთხვევაში მოქალაქისთვის პასპორტის მიწოდება და ა.შ.

საელჩო ვიზის მიღების მსურველ მოქალაქეებს შესაბამის ინსტრუქციებსაც სთავაზობს. ვიზის მოსაკრებლის არასწორად გადახდის შემთხვევაში თანხა არ ანაზღაურდება და განმცხადებელს ვიზის მოსაკრებლის გადახდა ხელახლა მოუწევს.

„დაგეგმილი ცვლილებები არ ეხება იმ მოქალაქეებს, რომელთაც გასაუბრება უკვე დანიშნული აქვთ. ისინი საელჩოში დანიშნულ დღეს უნდა გამოცხადდნენ და მათი განაცხადი ჩვეულებისამებრ განიხილება. მოქალაქეს, რომელიც გასაუბრების ელექტრონულად დანიშვნას ვერ ახერხებს, გასაუბრების დანიშვნა ქოლ-ცენტრის საშუალებით შეუძლია“ – ნათქვამია განცხადებაში.

საელჩოს ინფორმაციით, სავიზო განაცხადის შეტანის სხვა საფეხურები უცვლელი რჩება.“

**ნიუსპრესი**

# „ღამის სერენადები“ პატრიარქს მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე გონიოში საზეიმოდ დაიხურა რიგით მეოთხე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 35-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ მნიშვნელოვანი თარიღის გარდა, ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული მეორე დღის კონცერტი რადიო „მუზას“ დაარსებიდან 5 წლის იუბილესაც მიეძღვნა.

მუსიკალურმა ფესტივალმა ოთხი დღის განმავლობაში მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები წარუდგინა გონიოში შეკრებილ საზოგადოებას. „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძის მიერ დაწერილი წიგნის „მედიტაციები“ წარდგინებით გაიხსნა, რომელიც მევიოლინეს მიერ მუსიკალურ სამყაროში განცდილ შეგრძნებებსა და მუსიკის ჯადოსნურ ძალაზე მოგვითხრობს. წიგნის წარდგინების პარალელურად, კი ეკრანზე ლიანა ისაკაძის საკონცერტო ვიდეოები იქნა ნაჩვენები.

სპეციალურად ამ ფესტივალისთვის საქართველოში ჩამოვიდნენ მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები შვეიცარიიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან და კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის ჩაიკოვსკის, სენ-სანსის, ბეთჰოვენის, ბრამსის, შუბერტის, მენდელსონის, შოსტაკოვიჩის და სხვა კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები შეასრულეს. აჭარის შავიზღვისპირეთს სტუმრობდნენ ცნობილი მაესტრო ვლადიმერ ვერბიცკი, ასევე მუსიკოსები თეოდორ რუბინი, ანდრეი ბარანოვი, ანდრეი გავრილოვი, ვლადიმერ მიშჩუკი, იური მონიგეტი, ნიკოლას რექსროტი. მუსიკოსთა ნაწილი საქართველოში პირველად არ იმყოფებოდა და ისინი ჩვენს ქვეყანაში სწორედ „ღამის სერენადების“ და ლიანა ისაკაძის წყალობით მოხვდნენ. მოწვეულ სტუმრებთან ერთად ფესტივალზე დაუკრა თავად ლიანა ისაკაძემაც.

კლასიკური მუსიკის დღესასწაულთან ერთად ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენები. წლევანდელი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის გზავნილად მისმა ორგანიზატორებმა სიყვარული, მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა შეარჩიეს.

ფესტივალის დახურვის დღეს კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის კვლავაც დაუკრეს ფეისბუქის ვირტუოზებმა, რომლებიც საზოგადოებას ლიანა ისაკაძემ გასულ წელს ამავე ფესტივალის ფარგლებში წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსებს თვითონ ჰყავთ ორკესტრები ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზში, აქვთ თავიანთი ფესტივალები, ვირტუოზების ორკესტრში დაკვრა მათთვის ყველაზე დიდი პატივია.

„ღამის სერენადები“ ზღვისპირა ქალაქში უკვე მეოთხედ გაიმართა. საფესტივალო პროგრამაში გაერთიანდა ისეთი მუსიკალური ნაწარმოებები, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაც არის საინტერესო და არა კონკრეტულად კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის. საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძემ 1982 წელს დააფუძნა, წელს ფესტივალმა, ხანმოკლე შესვენებებით და სხვადასხვა ადგილზე გადატანით, დაარსებიდან 30 წლის იუბილე იზეიმა. „ღამის სერენადები“ 9 წლის განმავლობაში უწყვეტად იმართებოდა ბიჭვინთაში, სადაც მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები იკრიბებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალის დამფუძნებელი ლიანა ისაკაძე დღეს დიდი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ, ის ყოველთვის დიდი სიხარულით ჩამოდიოდა საქართველოში და ყოველთვის ცდილობდა კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოებისთვის თუნდაც „ღამის სერენადების“ ფარგლებში საინტერესო პროგრამა ჩამოეტანა და სასიამოვნო სიურპრიზებით გაენებივრებინა.

ფესტივალი საერთაშორისო კამერულმა ორკესტრმა „ფეისბუქის ვირტუოზებმა“ ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიით გახსნა. ორკესტრს ცნობილი მაესტრო ვლადიმერ ვერბიცკი დირიჟორობდა, საღამოს მეორე ნაწილი სენ-სანსის კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის დაეთმო. სოლისტი პიანისტი ანდრეი გავრილოვი იყო, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ვირტუოზ შემსრულებლად ითვლება. „ღამის სერენადების“ გახსნის საზეიმო ცერემონიალს და პირველ კონცერტს საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსიც დაესწრო.

გონიოს ციხეზე კლასიკური მუსიკის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის მეორე დღე ჩაიკოვსკის, შოსტაკოვიჩისა და შუბერტის ნაწარმოებებს დაეთმო. კამერულ ორკესტრ „ფეისბუქის ვირტუოზებთან: ერთად, სოლო პარტიები მსოფლიოს ცნობილმა ვირტუოზებმა, პიანისტმა ვლადიმერ მიშჩუკმა, მევიოლინე ანდრეი ბარანოვმა, ჩელისტმა იური მონიგეტიმ და პიანისტმა ნიკოლას რექსროტიმ შეასრულეს. კონცერტი ორი საათის განმავლობაში გაგრძელდა და მაყურებლის ოვაციის თანხლებით წარიმართა.

„ღამის სეერნადების“ მესამე დღეს მსმენელის წინაშე ლიანა ისაკაძე და ორკესტრი „ფეისბუქის ვირტუოზები“ წარდგნენ. ლიანა ისაკაძემ ორკესტრის ყველაზე ახალგაზრდა მუსიკოსებს თეოდორ რუბინს და ანდრეი ბარანოვს პრესტიჟულ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებში გამარჯვება მიულოცა და მათთან ერთად დაუკრა.

ფესტივალის დახურვის დღეს შეკრებილი საზოგადოებისთვის კი მენდელსონის, ბრამსისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები შესრულდა. დასკვნით კონცერტზე „ფეისბუქის ვირტუოზებმა“ ბეთჰოვენის მეექვსე სიმფონია შეასრულეს. ლიანა ისაკაძემ ორკესტრთან ერთად ბრამსის კონცერტი დაუკრა. „ღამის სერენადებს“ გონიოს ციხემ უკვე მეოთხედ უმასპინძლა და კლასიკური მუსიკის დღესასწაული აჭარას ერთი წლით დაემშვიდობა.



ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული „ღამის სერენადები“ პირველად ბიჭვინთაში იმართებოდა, მოგვიანებით ამ ფესტივალმა საერთაშორისო სახე მიიღო, თუმცა სოხუმის დაცემის შემდეგ ფესტივალმა არსებობა დროებით შეწყვიტა. წლების შემდეგ ფესტივალმა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში გადაინაცვლა, ამ სახლთან დაკავშირებული გაუგებრობების გამო, ფესტივალი ველარ გაგრძელდა, საბოლოოდ კი მან გონიოს ციხეში ღია ცის ქვეშ ზღვისპირას დაიმკვიდრა ადგილი.

— ფესტივალი 30 წლის წინ აფხაზეთში დავაარსე. 8 წლის განმავლობაში ეს ფესტივალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მიხარია, რომ ამდენი წლის შემდეგაც კი ფესტივალმა თავისი აქტუალობა არ დაკარგა და ახლაც დიდი ინტერესია მსოფლიო მუსიკოსთა მიერ ამ ფესტივალში მონაწილეობისთვის. დიდი მადლობა ყველას, ვისაც კიდევ აქვს სურვილი „ღამის სერენადები“ არსებობდეს. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომელიც წლიდან წლამდე ელოდება ჩვენს ფესტივალს. ჩვენ კი ვალდებულები ვართ მათი მოლოდინი ყოველ წელს გავამართლოთ და იმედები არ გავუცრუოთ. მიმაჩნია, რომ ფესტივალმა წელსაც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა, იყო არაჩვეულებრივი მსმენელი. ეს ჩვენმა სტუმრებმაც აღნიშნეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვეუბნები ყველას, ფესტივალის სტუმრებსაც და მის მასპინძლებსაც. მიხარია, რომ კლასიკური მუსიკა ასე უყვართ საქართველოში, ეს ჩვენმა უცხოელმა მუსიკოსებმაც აღნიშნეს. ჩვენ ეს ყველაფერი გვაძლევს სტიმულს რომ სულ უფრო მეტი და მეტი ვაკეთოთ, კიდევ უფრო საინტერესო პროგრამა ჩამოვიტანოთ და ფესტივალიც წლიდან წლამდე ვაცოცხლოთ, — განაცხადა ლიანა ისაკაძემ.

# ჯგუფი „შინ“ კუს ტბაზე დაუკრავს

**ჯგუფი „შინ“, რომელიც საქართველოში საგანგებო გზავნილით არის ჩამოსული, მთელი საქართველოს მასშტაბით საკონცერტო ტურნეს ატარებს. საქართველოს ქალაქებში გამართული კონცერტების პარალელურად, ჯგუფის წევრები „კიიტო საუნდ პროჯექტის“ ფარგლებში წარმოადგენენ პროექტს „ეთნო ჯაზ ფლამენკოს საღამო“.**

ეკა ირემაშვილი

პროექტის ფარგლებში 7 სექტემბერს კუს ტბაზე გაიმართება კონცერტის ღია ცის ქვეშ, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ეთნო-ჯაზისა და ფლამენკოს ნაზავი მუსიკის თანხლებით. კონცერტის ხანგრძლივობა მაქსიმუმ ორი საათია.

როგორც კონცერტის ორგანიზატორი ანა ბახუტრიძე აცხადებს, ამ პროექტის მიზანია ეთნო ხელოვნების პოპულარიზაცია და სინთეზური მუსიკის წაქეზება, რაც აახლოვებს განსხვავებულ კულტურებს და უზრუნველყოფს კულტურული მრავალფეროვნების ჩამოყალიბებას.

კუს ტბაზე დაგეგმილ კონცერტამდე კი ჯგუფის წევრებს მთელი საქართველო აქვთ მოსავლელი ახალი პროექტით „ერთი ხმა“, რომელიც ამჯერად საქართველოში უშუალოდ წინასაარჩევნო სიტუაციას ესადაგება. პირველი კონცერტი „შინმა“ უკვე გამართა ზუგდიდში 24 აგვისტოს, მეორე კონცერტი 26 აგვისტოს გორში იყო დაგეგმილი, თუმცა ღონისძიება 5 სექტემბერისთვის გადაიდო. ჯგუფის კონცერტი პარკში უნდა დაგეგმილიყო, სადაც ორგანიზატორებს იმ დღეს კაფე დახვდათ გახსნილი.

როგორც პროექტის ორგანიზატორი სანდრო ყანჩაველი აცხადებს, ამ კონცერტების მიზანი ხალხის არჩევნებზე მისვლისკენ მოწოდებაა. ვინაიდან ჯგუფი „შინ“ და მისი წევრები უკვე ათეული წლებია ევროპაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, მათ მსგავსად საქართველოდან არაერთი ქართველია წასული, სწორედ ამიტომ ჯგუფის წევრები ქართველი ემიგრანტების სახელით ყველა საქართველოში მცხოვრებს მოუწოდებენ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

ჯგუფი „შინ“ და მისი ხელმძღვანელი ზაზა მიმინოშვილი ხშირად ჩამოდის საქართველოში და კონცერტებსაც მართავს, ყოველი მათი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში კი ახალ პროექტთან არის დაკავშირებული. მუსიკოსებმა საქართველოში წარმოადგინეს „შავი ზღვის ცეცხლი“, ჯაზის მომღერალ მაია ბარათაშვილთან ერთად შეადგინეს სპეციალური საკონცერტო პროგრამა, რომლითაც ევროპის ქალაქები მოიარეს და ამ გაზაფხულზე ქართველ მსმენელსაც წარუდგინეს.

ამჯერად „შინის“ საკონცერტო ტურნეს „ერთი ხმა“ ეწოდება, რომელიც კონცერტების სახით ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, მესტიაში, ყვარელსა და ოზურგეთში ჩატარდება. როგორც კონცერტების ორგანიზატორები აცხადებენ, ყველა საღამო საქველმოქმედოა. დასკვნით და გრანდიოზულ კონცერტს კი ჯგუფ „შინის“ წევრები თბილისში 15 სექტემბერს გამართავენ. პროექტის „ერთი ხმა“ ფარგლებში დაგეგმილ თბილისურ კონცერტამდე ჯგუფის წევრებს 7 სექტემბერს კუს ტბაზე აქვთ კონცერტი დაგეგმილი.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ვნებათაღელვა პიკს აღწევს. უკვე გამოიკვეთნენ ის მომღერლები, ვინც „ქართული ოცნებისა“ და უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები არიან და ასევე გამოიკვეთნენ ის მომღერლებიც, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებად მოიაზრებიან. ამ ყველაფერზე კი საზოგადოება გაღიზიანებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ ხელოვანთა პოლიტიკაში ჩართვა მათთვის ყველაზე მეტად მიუღებელია.

უკვე გააპროტესტა ქართულმა საზოგადოებამ სოფო ნიჟარაძის მიერ „ვერის უბნის მელოდიების“ რეპეტიციებზე „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურით რეპეტიციების გავლა. თუმცა მმართველი პარტიის მხარდამჭერ კონცერტებში მონაწილე ყველა მომღერალი უკვე არიგებს ამ მაისურებს და ასე რომ, საზოგადოებას კიდევ ბევრ რამეზე მოუწევს გაღიზიანება.

წინასაარჩევნო კამპანიაში მომღერლები უკვე აქტიურად არიან ჩართული. „შინის“ მსგავსად საკონცერტო ტურნე წამოიწყეს ქართული ესტრადის მომღერლებმა, რომლებიც საკმაოდ ბევრნი არიან. სოციალურ ქსელში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ არ შეიძლება ხელოვანი თავის მხარდაჭერას ამა თუ იმ პარტიის მიმართ საჯაროდ გამოხატავდეს. თავად მომღერლებს კი მიაჩნიათ, რომ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

საერთაშორისო

# ბრიტანეთი, საფრანგეთი და ამერიკა სირიაში შევიდნენ

დიდი ბრიტანეთის სპეცჯგუფები უკვე სირიის ტერიტორიაზე მოქმედებენ. მათ ძირითად დანიშნულებას ქიმიური იარაღის ადგილსამყოფელის აღმოჩენა წარმოადგენს, რომელიც პრეზიდენტ ბაშარ ასადის კუთვნილებაში გახლავთ. იმ შემთხვევაში, თუ ბაშარ ასადი ქიმიური იარაღის გამოყენებას ან მისი ადგილმდებარეობის შეცვლას შეეცდება, სპეცდანიშნულების რაზმები არსენალს გაანადგურებენ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა გუშინ განაცხადა, რომ ქიმიური იარაღი სირიაში შეჭრის საშუალებას იძლევა.



— ჩვენ ყურადღებას არ მოვადუნებთ, რათა ასადის ხელისუფლებამ ქიმიური იარაღის გამოყენება ვერ შეძლოს, — განაცხადა ოლანდმა.

მასმედიის ინფორმაციით, ბრიტანულ ქვედანაყოფში, დაახლოებით 200-მდე სამხედროა. მათთან ერთად არიან ამერიკისა და საფრანგეთის სპეცდანიშნულების რაზმები.

თავის მხრივ სირიელმა ამბოხებულებმა პროვინცია იდლიბში, აეროპორტზე თავდასხმის შედეგად 10 სამხედრო ვერტმფრენი გაანადგურეს. ამის შესახებ „ალ-ჯაზირა“ იუწყება.

ტელეარხმა გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან აჯანყებულები როგორ ცხრილავენ აეროდრომზე მდგომ ვერტმფრენებს, რომლებმაც აფრენა ვერ მოასწრეს. ილდიბის პროვინცია თურქეთის საზღვართან მდებარეობს. იქ მოქმედი აჯანყებულები, სხვა ოპოზიციურ სამხედრო დაჯგუფებებთან შედარებით, უკეთესად მარაგდებიან სურსათით, მედიკამენტებითა და იარაღით. სწორედ ამ პროვინციაში მოქმედებს „უმის ბრიგადა“, რომელსაც სირიული წარმოშობის ირლანდიელი ხელმძღვანელობს და პროფესიონალი და ლიბიის სამოქალაქო ომის მონაწილე მებრძოლებითაა დაკომპლექტებული.

# აშშ-ში პროკურატურამ ობამას წინააღმდეგ შეთქმულება გამოააშკარავა

ამერიკის შეერთებული შტატების პროკურატურამ ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულება გამოააშკარავა. მედია პროკურატურაზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 4 სამხედრო ქვეყანაში გადატრიალებას ამზადებდა. ოთხივე მათგანი ფორტ სტიუარტის ბაზაზე მსახურობდა.

მათ უკვე შეძენილი ჰქონდათ იარაღი და გეგმავდნენ ბაზის იარაღის საწყობის ხელში ჩაგდებას, მოგვიანებით ისინი უსაფრთხოების სამმართველოს შენობის აფეთქებას, შემდეგ კი ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმას და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებდნენ.

ბრალდებას არ უარყოფენ დაკავებულები. მათმა სავარაუდო ლიდერმა — აიზეკ აგიგიმ დაკითხვისას განაცხადა, რომ არ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს შავკანიანი ლიდერი სახელით, რომელიც უცხოპლანეტელს უფრო შეეფერება. მედიის ცნობით, სამხედროები საკუთარ თავს უკვდავებს უწოდებდნენ.

კერძოდ, დაკავებულები ფორტ-სტიუარტში მოქმედ ანტისამთავრობო რადიკალურ დაჯგუფებაში, სახელწოდებით — „მუდამ უკვდავნი, ყოველთვის მზადმყოფნი“ — შედიოდნენ.



პროკურატურის ინფორმაციით, შეთქმულები ფორტ-სტიუარტის იარაღის საწყობის ხელში ჩაგდებას, საშინაო უსაფრთხოების სამმართველოს შენობის აფეთქებასა და ვაშინგტონის შტატის ჰიდროშეიარაღების აფეთქებას აპირებდნენ. ამის შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე თავდასხმასა და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# დმანისის საზაფხულო სკოლა გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა გახსნა. დმანისის საზაფხულო სკოლა 27 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით იფუნქციონირებს.**

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა განაცხადა, საზაფხულო სკოლაში კონკურსის წესით შეირჩა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტები და პროფესორები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, რუსეთი, ლიტვა, გერმანია, ბრაზილია და ამერიკის შეერთებული შტატები.

პროექტის მიზანია მონაწილეთათვის ქართველოლოგიური მეცნიერებების და მათი კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობა, თეორიული და პრაქტიკული სამუშაო უნარ-ჩვევების გამომუშავება, ქართველ და უცხოელ მონაწილეთა სასწავლო და შემოქმედებითი ურთიერთობის ხელშეწყობა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა, მუზეუმში დაცული მატერიალური კულტურის წარმოჩენა და კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში.

– საზაფხულო სკოლის მოქმედების ძირითად ადგილს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი ბაზა.

სასწავლო პროგრამა, რომელსაც ქართველი მეცნიერები უძღვებიან, ითვალისწინებს თეორიული სახის სალექციო კურსებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს შემდეგ დისციპლინებში – საქართველოს ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, საქართველოს არქეოლოგია, ეთნოლოგია და ნუმიზმატიკა. პროგრამის მიხედვით, დაგეგმილია ვორქშოპების ორგანიზება, დოკუმენტური ფილმების ჩვენება, დისკუსია. ასევე, თემატური ექსკურსიების მოწყობა საქართველოს ისტორიულ ძეგლებსა და მუზეუმებში. კურსის ბოლოს კი მოხდება სტუდენტთა პროექტების პრეზენტაცია. სკოლის სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა უფასოა. სკოლის კურსდამთავრებულებს კი გადაეცემათ სერთიფიკატები, – აცხადებს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

# ჯგუფი შინ“ კუს ტბაზე დაუკრავს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ამაში საგანგაშო და მით უმეტეს მიუღებელი არაფერია. ნაწილი კი ამტკიცებს, რომ თუკი რომელიმე პარტიის მხარდასაჭერ კონცერტებში იღებს მონაწილეობას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პოლიტიკაში გარეულები არიან. მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ სადაც მათი კოლეგები დგანან, ისინიც იქ უნდა იდგნენ, მომღერალთა სხვა ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ვალდებულები არიან სახელმწიფოს გვერდში დაუდგნენ. „შინის“ პარალელურად, კონცერტებს მართავენ ნინი ბადურაშვილი, ლელა წურწუმია, ჯგუფი „სეიშენი“, ნატო გელაშვილი, ნინო ჩხეიძე, ეკა კახიანი და სხვა ცნობილი მომღერლები. უკვე გადაწყვეტილია, რომ მომღერლებს მალე შეუერთდება ანრი ჯოხაძეც. ის არ მალავს, რომ ნაციონალურ მოძრაობას უჭერს მხარს და მიაჩნია, რომ პირიქით, ნებისმიერი მომღერლებისთვის პატივი უნდა იყოს, თუკი პოლიტიკოსი მას წინასაარჩევნოდ საკუთარ მხარდამჭერ კამპანიაში ჩართავს.

ჯგუფი „შინის“ წევრები კი აცხადებენ, რომ სამშობლოში კონკრეტული მისიით დაბრუნდნენ და მათ ემიგრანტი ქართველებისგან ადგილობრივ მცხოვრებლებს გზავნილიც ჩამოუტანეს. გერმანიაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი მუსიკოსები სამშობლოში ახალი პროექტის განსახორციელებლად ჩამოვიდნენ. ისინი სხვა მომღერლებთან და შემსრულებლებთან ერთად საქველმოქმედო კონცერტების სერიაში ჩაერთნენ და ამით დაიწყო კიდეც განხორციელება პროექტისა, რომელსაც ჰქვია „ერთი ხმა“. ამ ღონისძიებებში მონაწილე მუსიკოსები საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას მოუწოდებენ. „ერთი ხმის“ მიზანიც სწორედ ეს არის – არჩევნებზე ხალხის გამოყვანა.

როგორც პროექტის ორგანიზატორი **სანდრო ყანჩაველი** აცხადებს:

– ჯგუფის „შინ“ წევრები უკვე წლებია ემიგრანტები არიან. მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან, რომელთა სურვილების მუსიკოსებამდე მიტანა პრობლემას არ წარმოადგენს. ამიტომაც, ქართველი ემიგრანტების სახელით, ჯგუფი „შინ“ მართავს აქციას სახელწოდებით „ერთი ხმა“, რომლის მიზანი, წინასაარჩევნოდ, საყოველთაო დაძაბულობის ფონზე ხალხის შეკვრა, გაერთიანება და არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და მშვიდობისაკენ მოწოდებაა.

როგორც პროექტის ორგანიზატორი განმარტავს, ამ პროექტს სამი მთავარი გზავნილი აქვს. პირველი არის მოწოდება, რომ ყველანი არჩევნებზე მივიდეთ, მეორეა, ვიყოთ თავისუფალი ჩვენს პირად არჩევანში და მესამე – პატივი ვცეთ ერთმანეთის არჩევანს და არ დავუპირისპირდეთ ერთმანეთს განსხვავებული აზრის გამო.

– ჩვენ აგიტაციას არ ვუწევთ არც ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას. ჩვენ აგიტაციას ვუწევთ მხოლოდ საქართველოს და ქართველ ხალხს. ეს აქცია არ არის რომელიმე პარტიის მხარდამჭერი, იმიტომ, რომ



მისი მიზანი სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის მქონე ადამიანების გაერთიანება და ერთხმად შეკვრაა, რაც თავისთავად რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას გამორიცხავს, – აცხადებენ პროექტის ორგანიზატორები.

როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი **ზაზა მიმინოშვილი** აცხადებს:

– ჩვენი ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგას. საქართველოში ახლა ტემპერატურა მაღლა იწევს, სამწუხაროდ, არა ჯანსაღი მიმართულებით. ჩვენ დავინახეთ, რომ ხელოვანების დანიშნულება ახლა არის ის, რომ სცენიდან შევძლოთ მოქალაქეების დამშვიდება, რომ ჩვენ სამტრო არავისთან, მით უმეტეს ერთმანეთთან არაფერი გვაქვს. თითოეული ადამიანი თავის არჩევანში თავისუფალი უნდა დარჩეს. ეს ღვთისგან გვაქვს ბოძებული. ეს არის მიზეზი, რის გამოც ჩვენ ვიგრძენით, რომ ახლა ასეთი ჩარევა აუცილებელი და საჭირო იყო.

ჯგუფის წევრების და პროექტის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, „შინის“ ყველა კონცერტზე დასწრება უფასოა. ეს კონცერტები არჩევნების წინა დღეებამდე ჩატარდება. რაც შეეხება საკონცერტო პროგრამას, მასში ჯგუფის წევრები იმერულ, მეგრულ, აფხაზურ, რაჭულ, გურულ, სვანურ და მთლიანობაში ერთ ქართულ ხმას გააერთიანებენ.

„ერთი ხმა, რომელიც გადაწყვეტს ჩვენს საერთო მომავალს!“ – ასე ჟღერს ჯგუფ „შინისა“ და ქართველი ემიგრანტების პროექტის მთავარი გზავნილი, ამიტომ მუსიკოსები ყველას მოუწოდებენ, იყვნენ თავისუფლები არჩევნებში და ეს ღვთისგან ნაბოძები ნება ისე გამოიყენონ, როგორც თავად სურთ.

პროექტის ფარგლებში ემიგრანტები მიმართავენ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მოღვაწე ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს, მოუწოდონ საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ.

პროექტთან დაკავშირებით ხელოვანებს წერილობით უკვე მიმართა ჯგუფმა:

„დაბადებიდან მოუცია გამჩენს საჩუქრად არჩევანის უფლება და ჩვენ კი მთელი წინა ცხოვრება მოვუწყვეთ ჩვენს თავს არადანის განაჩენი. ისევ ვაბრალოთ სხვას, თუ მივხვდეთ იქნებ, რომ ის არადანი ჩვენი არჩევანი იყო?! დღეს ვიყენებთ ღვთისგან ბოძებულ უფლებას და ვირჩევთ, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლო, ანუ ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გამოგვაქვს მისთვის და ჩვენთვის განაჩენი! რაც შეიძლება მეტ ხელოვანს უნდა მიეცეს ჩვენი საერთო მოწოდების საკუთარი შემოქმედებით გამოხატვის შესაძლებლობა, და, რაც მთავარია, ეს სათქმელი საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონამდე უნდა მივიტანოთ. დარწმუნებულები ვართ, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ბევრ ჩვენს თანამემამულეს ექნება სურვილი, ასეთივე სახის მონაწილეობა მიიღოს პროექტში, რომლის მიზანი საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაა“.

ამ ინიციატივის ფარგლებში პირველი ღონისძიება თავად ჯგუფის წევრებმა გამართეს, მუსიკალური ტურნე მთელ საქართველოს მოიცავს, რადგან პროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ „ერთი ხმა“ რეალურად უნდა იქცეს ქვეყნის ხმად.

ცნობილი გახდა ისიც, რომ პროექტის ფარგლებში უკვე შექმნილია ფონდი, რომელშიც პირველი შენატანი – 20.000 ლარი ჯგუფის „შინ“ სოლისტმა ზაზა მიმინოშვილმა და პროექტის მენეჯერმა ალექსანდრე ყანჩაველმა განახორციელეს.

პოლიტიკურ მოვლენებში ზაზა მიმინოშვილი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც მისი და, მაია მიმინოშვილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან 28 მაისს გაათავისუფლეს. ამის შემდეგ მაია მიმინოშვილი თავად ბიძინა ივანიშვილმა შუშებიან სასახლეში მიიღო. ამ საქმეში მთავარ დამნაშავედ მუსიკოსმა საკუთარი თავი დაასახელა და განაცხადა, რომ მისი დის გათავისუფლების მთავარი მიზეზი თვითონ არის.

– დამნაშავე ვარ მე. ჩემი ზარი 26 მაისს ჩემს ბავშვობის მეგობართან მაია ფანჯიკიძესთან. ჩვენი სატელეფონო საუბარი 26 მაისის დილის მილოცვით დაიწყო. მე 27 მაისს ჩემი სურვილის შესახებ ვუთხარი, რომ ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც საქართველოს სჭირდება, მოხდეს ისე, როგორც საჭიროა, ძალიან ბევრი ხალხი მოვიდეს აქციაზე და ამასთან, ძალიან დიდი წუხილი გამოვხატე ჩემი იქ არყოფნის გამო. თუმცა მე მათ გვერდით ვარ და ყოველთვის ვიყავი კიდეც. მე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ღია ეთერში ვლაპარაკობდი.

გამოიღებს თუ არა რეალურ შედეგს ჯგუფის წევრების მიერ ემიგრანტი ქართველების მიერ გამოგზავნილი მოწოდება, წავა თუ არა ხალხი აქტიურად საპარლამენტო არჩევნებზე და გამართლდება თუ არა მათი ლოზუნგი „ერთი ხმა, რომელიც გადაწყვეტს ჩვენს საერთო მომავალს!“, ამას პირველ ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ჩავლის შემდეგ დავინახავთ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია–განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ძალიან იაფად მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. 2-სართულიან სახლს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე: თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, სატელიტური თეფშით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 18 კმ-ში. ფასი 35.000 დოლარი. ტელ.: 577-42-41-22, 595-47-85-55. გია.

### უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# იგორ კოკოშკოვი: მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ

**დასრულდა 2013 წელს სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრე და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები 3 მოგებითა და 1 მარცხით ბოსნიელებთან ერთად 1–2 ადგილებს იყოფს. განვლილ მატჩებში ბევრი ბრძოლა გადაგვხდა თავს, იყო იღბალიც, გამართლებაც, სიხარულიც და ბოლოს სიმწარეც.**

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი რთული მარათონული შეჯიბრების გავლა საქართველოს ნაკრებს მოკლე სათადარიგოთა სკამიდან გამომდინარე დამარცხების გარეშე გაუჭირდებოდა, თუმცა ჰოლანდიელებთან ამას არავინ მოელოდა და გამარჯვებათა სერია სწორედ ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერთან შეწყდა.

იყო ბევრი საუბრებიც იმაზე, რომ მიმდინარე შესარჩევ ციკლში სათანადოდ ვერ უძლევბოდა გუნდს მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი. ძალიან ბევრი აკრიტიკებდა იმის თაობაზე, რომ სერბი სპეციალისტი დროულად არ იყენებდა წუთშესვენებებს, ხოლო მოკლე სათადარიგოთა სკამის გამო მის მიმართ კრიტიკა ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ლაშა გამყრელიძის, ვლადიმერ ბოისასა და ლაშა ფარღალავას არწაყვანის გამო გაისმოდა. ცხადია, მწვრთნელს თავისი აზრი აქვს, გულშემატკივარს – თავისი და ჩვენ – ჩვენი. თითქმის წელიწად-ნახევრიანი უთამაშებლობის შემდეგ ნაკრებში უფროსი ბოისას არგამოძახებას გამართლება მოეძებნება, რასაც ვერ ვიტყვით სხვა კალათბურთელებზე, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ იმ ბირთვის, რომელსაც მხოლოდ 7 კალათბურთელი შეადგენს, ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. სწორედ ამ ბირთვის გადაღლილობის გამო ნაკრებს ძალიან უჭირდა მატჩების დასკვნით ნაწილში, ხოლო ჰოლანდიელებთან ვიქტორ სანიკიძის ტრავმამ საერთოდ მარცხისკენ გვიბიძგა.

მთელი მოსამზადებელი და საკვალიფიკაციო ეტაპის ნახევრის მანძილზე კოკოშკოვი მედიასთან საუბარს ერიდებოდა. მხოლოდ ის განაცხადა პრესსამსახურის პირით, რომ ჟურნალისტებს პირველივე წაგების შემდეგ შეხვდებოდა. მთავარმა მწვრთნელმა ეს სიტყვა შეასრულა და ბრიფინგი ნაკრების დისლოკაციის ადგილზე, „ქორთიად მერიოტში" გამართა.

ბრიეფინგს კოკოშკოვთან ერთად მისი ასისტენტები, დავით უსტიაშვილი და კოტე ტუღუში ესწრებოდნენ, თუმცა ძირითადად სერბი სპეციალისტი საუბრობდა.

კოკოშკოვმა თავიდან განვლილი 4 მატჩი შეაფასა.

**იგორ კოკოშკოვი:**

– გავიარეთ საკვალიფიკაციო ეტაპის ნახევარი. ცხადია, უკეთესი შედეგი აჯობებდა, მაგრამ ჯერ კიდევ მატჩების დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა 4-დან 3 მატჩს მოიგებთო, თანახმა ვიქნებოდი. აქედან გამომდინარე საწუწუნო არაფერი მაქვს. წინ მნიშვნელოვანი მატჩები დარჩა და ახლა იმისთვის ვიწყებთ მზადებას. საკვალიფიკაციო ეტაპს ისეთი ფორმატი აქვს, შეუძლია ერთმა მატჩმა ყველაფერი შეცვალოს. ჩვენი ჩატარებული 4-ვე მატჩი სხვადასხვა სცენარით მიმდინარეობდა. ჰოლანდიელებთანაც მოსაგებად გავედით მოედანზე და დიდი დროის მანძილზე ამას ვახერხებდით, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ. ეს კალათბურთია და ყველაფერი ხდება. თქვენ ალბათ თვალს ადევნებთ სხვა ჯგუფებში მიმდინარე მოვლენებს და რა სენსაციები ხდება, კარგად იცით. „ბ" დივიზიონში კიდევ შეიძლებოდა ყველა მატჩის მოგების დაგეგმვა, აქ კი გაცილებით სხვა დონეა. ყველა საკმაოდ კარგ კალათბურთს თამაშობს და ხელწამოსაკრავი გუნდი არ არსებობს. არცერთი მეტოქის მიმართ დაუფასებლობა არ უნდა გამოვიჩინოთ, რადგან ყველა ანგარიშგასაწევი გუნდია. მთავარია, ახლა ჰოლანდიელებთან მარცხი დავივიწყოთ, დავისვენოთ და მომზადებული შევხვდეთ რუმინელებთან მატჩს. მომავალი მეტოქე გამორჩეული სახელებით დაკომპლექტებული გუნდი არ არის, მაგრამ საკმაოდ შეკრული და კოლექტიურია. მათი დამარცხება იოლი არ იქნება. არც ცხრილის მიხედვით გვაქვს გათვლილი რამე – მოედანზე ყველა მატჩის მოსაგებად გავალთ. მთავარი ის არის, რომ კალათბურთელებს ჯანმრთელობამ შეუწყოს ხელი. ფაჩულია, შერმადინი და ცინცაძე ხანგრძლივის ტრავმების შემდეგ დაბრუნდნენ, სანიკიძემ კი ახლა მიიღო და ჰოლანდიელებთან ვერ ვათამაშეთ. ვიკას მხარი ისევ აწუხებს, მაგრამ მჯერა, როგორც კი მოედანზე გავა ბოლომდე დაიხარჯება.



ცხადია, ყველაზე დიდი ინტერესი კოკოშკოვის მიმართ ისევ და ისევ არგამოძახებული კალათბურთელების გამო იყო. როგორც ჩანს, პრობლემა როგორც ერთი მხრიდან, ისე მეორე მხრიდანაც არის. მთავარ მწვრთნელს ერთი ისეთი ფრაზა წამოსცდა, რომელმაც მიგვახვედრა, რომ გარკვეული პრეტენზიები თავის დროზე კალათბურთელებიდანაც წამოსულა. დაკონკრეტებისგან თავი ამჯერადაც შეიკავეს, თუმცა მინიშნება იყო.

**იგორ კოკოშკოვი:**

– გააჩნია, როგორია ჩვენი ხედვა. სანიკიძემ გასული სეზონი იტალიის სერია ა-ში 4 ნომერზე ითამაშა და საკმაოდ კარგადაც. თავის პოზიციაზე საუკეთესოდ დაასახელეს, ამასთან უკვე კონტრაქტი გაუფორმა იტალიის საუკეთესო გუნდმა „სიენამ". იტალიაში ყოფნისას ასევე ბევრი ვესაუბრე მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი შერმადინის მწვრთნელს. სანიკიძე გამოკვეთილი 4 ნომერი კი არის, მაგრამ მე მასში უნივერსალს ვხედავ. იყო მომენტები, როდესაც სანიკიძე ცენტრსაც იჭედა და გამთამაშებელსაც. მას აქვს უფლება წაგვიყენოს მოთხოვნა თუ სად უნდა ითამაშოს, მაგრამ იქცევა ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც საუბარია ნაკრებში 12 კალათბურთელზე, ეს არ ნიშნავს, რომ იქ უნდა იყოს 12 საუკეთესო. ეროვნულ გუნდში უნდა მოხვდნენ ის კალათბურთელები, ვინც ერთმანეთს შეავსებს. ამ დროისთვის ნაკრებში საკმაო რაოდენობის 4 ნომერია და ვისი დრო როგორ გადანაწილდება არავინ იცის. გეხსომებათ, თავიდან შენგელია ცოტას თამაშობდა, შემდეგ მოუმატა და ვფიქრობ, კიდევ უფრო უნდა დაიტვირთოს. შარშან ევროპის ჩემპიონატზე გვჭირდებოდა გამოცდილი კალათბურთელები და გვყავდა კიდეც. ახლა შენგელიას დროა და ეს პოზიცია გადატვირთულია. ჩემთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, თუ ის გამოცდილი კალათბურთელები განაცხადში მეყოლებოდა, მაგრამ სათამაშო დრო მაინც არ მიეცემოდათ. აქედან გამომდინარე, ამ კალათბურთელებთან არანაირი პირადული არ არსებობს – ეს სუფთა საკალათბურთო მომენტია. მეც ვხედავ რომ მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს და არც ტრავმებისგან არის ვინმე დაზღვეული. იგივე მოხდებოდა, ბოსნიას რომ ტელეტოვიჩი არ ჰყავდეს. მე ასე მიმაჩნია სწორად, ვრისკავ და მთელ პასუხისმგებლობას ჩემ თავზე ვიღებ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მიერ ბოლო წუთებში თამაშის ხარისხის გაუარესებას. რა არის ამის მიზეზი – გამარჯვების ნაადრევად მიჩნევა, თუ გადაღლა? გარდა ამისა, პრობლემური ქართველთა თამაში დაცვაში. კოკოშკოვი აქ ნაწილობრივ დაგვეთანხმა. მისი თქმით, მოკლე სკამი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ის კალათბურთელები, რომლებიც მატჩს ჩაამთავრებენ, სრულად დასვენებული შეხვდნენ დასკვნით ნაწილს და ამაზე მუშაობა მიდის.

**იგორ კოკოშკოვი:**

– ვერ ვიტყვი, რომ კალათბურთელებს გამარჯვების ნაადრევად დარწმუნება უშლის ხელს ბოლოში. ყველას კარგად აქვს გათავისებული, რომ არცერთი გუნდი ხელწამოსაკრავი არ არის და იციან რომ ბოლომდე უნდა იბრძოლონ. იცით, რომ ფაჩულია საპატიო მიზეზების გამო გვიან შემოგვიერთდა და პირველ ოფიციალურ მატჩამდე ნაკრებთან მხოლოდ 7 ვარჯიში ჩაატარა. გვიან შეუერთდნენ ნაკრებს ჯეიკობ პულენი და თორნიკე შენგელია, რომლებიც ნბა-ს საზაფხულო ლიგაზე თამაშობდნენ. გიორგი შერმადინი ტრავმით გამოწვეული იძულებითი 4-თვიანი შესვენების შემდეგ შემოგვიერთდა. ასე რომ იყო მიზეზები, რის გამოც გუნდი 100 პროცენტით მზად ვერ შეხვდა ოფიციალურ თამაშებს. ამ მხრივ რაღაცები უნდა შევცვალოთ, რათა მოხერხდეს ძალების მატჩის ბოლომდე შენარჩუნება. არაერთი გუნდია 7 კალათბურთელით რომ თამაშობს, მაგრამ ეს ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ხუთეული დასვენებული შეხვდეს თამაშს. მინდა აღვნიშნოთ, რომ დარჩენილ მატჩებში დიდი ალბათობით მოგვიწევს ზონის წინააღმდეგ თამაში, რადგან მეტოქეებმა ამ სათამაშო კომპონენტით დიდი პრობლემები შეგვიქმნეს. 4 მატჩში 4 სხვადასხვა სტილის მეტოქესთან მოგვიწია თამაში. რუმინელები სამწამიანში უკეთესები იყვნენ, ლატვიას ყველა მსროლელი ჰყავდათ, ბოსნია 2 კალათბურთელზეა დამოკიდებული. ამიტომ, ბევრი რამის შეცვლა გვიწევს. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვითამაშოთ ჯიგრით, გონებით. მართალია, რიგ მომენტებში დაცვაში სუსტად ვთამაშობთ, მაგრამ 4-დან 3 მოგება რატომ არის წარუმატებელი შედეგი ვერ ვხვდები.

კოკოშკოვს კითხვა იმის თაობაზეც დაუსვეს, რომ თუ გუნდის გაახალგაზრდავებისკენ მიდის, რატომ არ ესწრება ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს, როგორც ამას სხვა მწვრთნელები ახერხებენ.

**იგორ კოკოშკოვი:**

– ეს არის ნბა-ს მწვრთნელების პრობლემა. ნბა-ში მუშაობის გამო ვერ ვახერხებ, რომ საქართველოში ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ჩამოვიდე. ეს შეიძლება ჩაითვალოს ჩემს მინუსად. მე დიდად ვენდობი ჩემს ასისტენტებს – დავით უსტიაშვილს და კოტე ტუღუშს. ჩვენ ერთად ვაღწევთ წარმატებას.

კოკოშკოვის სიტყვა **დავით უსტიაშვილმა** გააგრძელა...

– ყოველთვის ასეა, რომ როცა 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, ეროვნული ნაკრების მზადების პროცესია. ჩვენ ყოველწლიურად ვიწყვებთ კალათბურთელებს ახალგაზრდული ნაკრებიდან და ვეძებთ ეროვნული გუნდის შევსებას. სამწუხაროდ, დიდი არჩევანი არ არის. ის 5 მოთამაშე, რომლებიც წლეულს გამოვიძახეთ, გუნდში არ დარჩა. იმედია, მომავალში კიდევ გამოჩნდებიან პერსპექტიული მოთამაშეები.

დასასრულს კოკოშკოვს მედიასთან მცირე კონტაქტზე დაეკითხნენ.

**იგორ კოკოშკოვი:**

– საქართველოს ნაკრების წევრების უმრავლესობა უცხოეთში თამაშობენ, ისინი აქ იშვიათად არიან და ჟურნალისტებს მათთან ურთიერთობის შანსი ეძლევათ. მე არ ვარ გუნდის ლიდერი, მე გადაწყვეტილებებს ვიღებ. ლიდერები არიან მოთამაშეები და მოგების შემდეგ მედია მათ გაესაუბროს. ასე რომ თუკი ბოსნიას მოვუგებთ, მე კვლავ ვერ მნახავთ. წაგების შემთხვევაში, მზად ვარ, ყველა კითხვას ვუპასუხო. თქვენი საქმიანობა შედგება იმისგან, რომ ჩემი მუშაობა გააანალიზოთ, გამაკრიტიკოთ და ასე შემდეგ. მე არ გკარნახობთ, უბრალოდ რჩევა იქნება, რომ ერთმანეთთან დადებითი ურთიერთობა გვქონდეს. ჩვენ საქართველოს ნაკრებს ოჯახს ვეძახით. ყველა ოჯახს აქვს კარგი და ცუდი დღეები. ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველა თამაში მოვიგოთ და მერწმუნეთ, ამას ყველანი მთელი გულით ვაკეთებთ.

**P.S.** ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ბრიფინგის დაწყებამდე ფედერაციის წამომადგენლებმა დასწრება აუკრძალეს პორტალ „ვორლდსპორტის" ჟურნალისტ როლანდ ლაბუჩიძეს და მიზეზად არაობიექტური სტატია დაასახელეს, რომელიც კოკოშკოვის მიმართ კრიტიკულად იყო დაწერილი. ცხადია, ყველა ადამიანი ინდივიდია და საკუთარი შეხედულება და აზრი გააჩნია, ამიტომ ფედერაციის წარმომადგენლების ქმედება, ამ კუთხით დაუშვებლად მიგვაჩნია.

## ჩემპიონთა ლიგამ 5 გუნდი უკვე მიიღო

უეფას ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საპასუხო მატჩების პირველი დღის შემდეგ გაირკვა პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ჯგუფური ეტაპის 5 მონაწილე – ზაგრების „დინამო", ბელარუსის ბატე, ესპანური „მალაგა", ბელგიური „ანდერლეხტი" და პორტუგალიური „ბრაგა". მათთან დამარცხებული გუნდები – თელ-ავივის „ჰაპოელი", სლოვენიური „მარიბორი", ათენის „პანათინაიკოსი", კვიპროსის აელი და იტალიური „უდინეზე" კი ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებენ.

ზაგრების „დინამოს" პირველი მატჩი 2:1 ჰქონდა მოგებული „მარიბორთან" და ეს უპირატესობა სტუმრად დასაწყისშივე გაზარდა – კუთხურის შემდეგ ტონელმა სლოვენიელთა კარი აიღო. ამის შემდეგ ხორვატები თავის თამაშს ახვევდნენ მეტოქეს თავს და ჯგუფურ ეტაპზეც დამსახურებულად გავიდნენ.

ბატეს პირველი მატჩი 2:0 ჰონდა მოგებული, რაც მთლად კომფორტულ მდგომარეობას არ აძლევდა, მით უფრო რომ „ჰაპოელმა" ბევრი იბრძოლა და საპასუხო მატჩში ანგარიში 67-ე წუთზე გახსნეს კიდეც. ლასლო ლენჩემ ულამაზესი საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ბურთი ხარიხიდან ასხლეტით გავიდა ბელარუსთა კარში. „ჰაპოელს" კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდათ, რომ მატჩი დამატებით დროში გადაეყვანათ და საამისოდ ძალ-ღონე არ დაიშურეს. თუმცა, შეტევაში წასულებს, კონტრშეტევა გამოეპარათ და ბატემ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. ბატე ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ეტაპზე ისტორიაში მესამედ გავიდა.

უგოლოდ დასრულდა „პანათინაიკოსისა" და „მალაგას" დაპირისპირება. ანდალუსიელებს პირველი მატჩი 2:0 ჰქონდათ მოგებული და როგორც მოსალოდნელი იყო, შეტევაში წასვლით თავს არ იკლავდნენ, დაცვაშიც ყურადღებით თამაშობდნენ და მიუხედავად ბერძნული კლუბის უპირატესობისა, ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი წამითაც არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ.

„ანდერლეხტისა" და აელ-ის მატჩში გამარჯვებული ბოლომდე გაურკვეველი იყო. ბელგიელებმა პირველი მატჩი სტუმრად 1:2 დათმეს და თითქოს შინ პრობლემები არ უნდა შექმნოდათ, მაგრამ მე-80 წუთისთვის, ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო, რაც ლიმასოლელებს აძლევდა ხელს. „ანდერლეხტის" ქომაგებს გასახარად დეფრეის მზოკანის გოლის გატანა მაინც მოახერხა. ახლა უკვე სტუმრები აღმოჩნდნენ საფრთხის წინაშე და შეუტიეს, რაც კიდევ ერთი გაშვებული გოლით დაუჯდათ – ალექსანდრ იაკოვენკომ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:0.

ძირითად დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა „უდინეზესა" და „ბრაგას" მატჩში, სადაც საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. მანამდე, პაბლო არმეროს და რუბენ მიკაელმა გოლები გაცვალეს – 1:1.

დამატებითი დროში ორივე გუნდი ფრთხილობდა და ბედი საფეხბურთო ლატარიას ანდეს. თერთმეტმეტრიანებში კი პორტუგალიელებმა უზადოდ შეასრულეს. თავის მხრივ იტალიელებიც კარგად ურტყამდნენ, მაგრამ ერთადერთი შეცდომა უდინელთა ბრაზილიელ ნახევარმცველს, რეჯინალდო მაიკოსელს მოუვიდა, რომელმაც „პანენკას" სტილში სცადა პენალტის შესრულება, მაგრამ „ბრაგას" მეკარე არ გადამხტარა და ბურთიც ხელებში ჩაუვარდა.

## დილა ისევ დანაკლისით ითამაშებს

დღეს გორის „დილას" უპრინციპულესი მატჩი აქვს – ევროპის ლიგის პლეი ოფის განმეორებით მატჩში ქართლელები „მიხეილ მესხის" სტადიონზე პორტუგალიურ მარიტიმუს დაუხვდებიან, რომლებთანაც პირველი მატჩი 0:1 დათმეს.

„დილას" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის საკმაოდ კარგი შანსი გააჩნია. თუმცა, საკმაოდ მძიმე შეხვედრა ელის. სხვა თუ არაფერი, ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლისთვის წყვილში გამარჯვებული 3,3 მილიონ ევროს მიიღებს, რაც ქართული კლუბისთვის ერთი წლის უზრუნველყოფილ ცხოვრებას ნიშნავს.

სამწუხაროდ, „დილა" ამ მატჩსაც დანაკლისით ხვდება – დისკვალიფიცირებულია მცველი გიორგი შაშიაშვილი და შეხვედრას გამოტოვებს. ტრავმის გამო გამოირიცხა კახა ალადაშვილის თამაშიც. კახა უკვე ინდივიდუალურადაც ვარჯიშობს, მაგრამ პორტუგალიელებთან მისი ასპარეზობა შეუძლებელია. საზარდულის ტრავმის გამო „დილას" ვერც ირაკლი მოდებაძე დაეხმარება. მოულოდნელად, თორმეტგოჯა ნაწლავის ოპერაცია დასჭირდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ ნახევარმცველ ლაშა გვალიას და არა მარტო 30 აგვისტოს შეხვედრას გამოტოვებს, არამედ ერთი თვეც ვერ ითამაშებს.

თუმცა მთლად კატასტროფული მდგომარეობა არ არის: დამაიმედებელია დისკვალიფიცირებული მათე ვაწაძის დაბრუნება. გამოჯანმრთელდა გულდედ თომაშვილი და ბოლნისის „სიონიდან" 18-აცის განცხადებაც მოხდა. სათამაშოდ მზად არის საყრდენი ნახევარმცველი ზურაბ არზიანიც. მატჩი დღეს, 20 საათზე დაიწყება.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-აელი | 2:0 |
| მარიბორი-დინამო(ზ) | 0:1 |
| პანათინაიკოსი-მალაგა | 0:0 |
| უდინეზე-ბრაგა | 1:1(4:5) |
| ჰაპოელი-ბატე | 1:1 |

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო(მ)-შტუტგარტი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბენეტო-როხუსი ო. | 7:6;6:2;6:3 |
| გაბაშვილი-დუტრა | 6:4;4:6;7:6;3:6;5:7 |
| ბაგდატისი-ბაუტისტა | 6:2;4:6;6:4;6:7;7:6 |
| ტომიჩი-ბერლოკი | 4:6;7:5;6:3;6:4 |
| დოლგოპოლოვი-ლევაინი | 3:6;4:6;6:4;6:1;6:2 |
| ჯოკოვიჩი-ლორენცი | 6:1;6:0;6:1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კირილენკო-სჰეპერსი | 6:2;6:1 |
| ვოზნიაცკი-ბეგუ | 2:6;2:6 |
| მარტინეს სანჩესი-ლუჩიჩი | 6:3;7:5 |
| ახმეტრადოვა-მალეკი | 6:4;2:6;4:6 |
| უილიამსი ს.-ვინდეგი | 6:1;6:1 |
| მაკჰეილი-ბერტენსი | 4:6;6:4;3:6 |

მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა

# კანკავა დნიპრომ დაიბრუნა



საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ჯაბა კანკავა, რომელიც დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ საკუთრებაა და კრივიო როგის „კრივბასში“ იჯარით იჯარით იყო განათხოვრებული, უკრაინული მედიის ცნობით, დნეპრისპირულმა კლუბმა უკან გამოიხმო.

როგორც ირკვევა, „დნიპროს“ ქართველი ნახევარმცველის დახმარება „სლოვანთან“ საპასუხო მატჩისთვის დასჭირდა.

– უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატში ჯაბამ უკვე 2 გოლის გატანა მოასწრო, რაც კრივოიროგელთა გუნდის მთლიანი მონაგრის ნახევარია. ჯაბა კანკავას „დნიპროში“ დაბრუნება, პირველ რიგში, გუნდში კადრების მწვავე დეფიციტითაა განპირობებული, რაზეც ცოტა ხნის წინ მთავარი მწვრთნელი ხუანდე რამოსიც მიანიშნებდა. შეგახსენებთ, რომ „ვოლინთან“ შეხვედრის დროს რამოსის განკარგულებაში, შვიდის ნაცვლად მხოლოდ ოთხი სათადარიგო ფეხბურთელი იყო, – აღნიშნულია ერთ-ერთ ვებგვერდზე.

კანკავა უკვე გუშინ „დნეპრის“ ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ ჯაბა კანკავა „დნიპროს“ ფეხბურთელი 2007 წლიდანაა, 2010 წლის ბოლოდან კი „კრივბასში“ იჯარის წესით გადავიდა, სადაც ბოლო დრომდე თამაშობდა.

უკრაინის ჩემპიონატში 7 ტურის შემდეგ „დნიპროს“ 17 ქულა აქვს და ცხრილში მესამე ადგილს, დონეცკის „შახტარისა“ (21) და კიევის „დინამოს“ (18) შემდეგ იკავებს.

არ არის გამორიცხული „დნიპრომ“ კიევის „არსენალში“ იჯარით მოთამაშე საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ნახევარმცველი სანდრო კობახიძის დაბრუნოს. ეს საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს.

კობახიძე „დნიპროში“ 2008 წელს ჩაირიცხა, 2009-2011 წლებში „კრივბასში“ თამაშობდა, ბოლოს კი კიეველი „მეთოფეების“ გუნდის ღირსებას იცავდა.

# მოდრიჩი რეალშია, კაკას მილანი იწვევს

მადრიდის „რეალმა“ სეზონი საშინლად დაიწყო – ლა ლიგის 2 მატჩში მხოლოდ 1 ქულა და მარცხი სუპერთასის პირველ ჯახში „ბარსელონასთან“. თითქოს ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ ჟოზე მოურინიოსა და მის შეგირდებს კრიტიკის რისხვა დაატყდებოდათ თავს, მაგრამ ეს ყველაფერი „რეალში“ ლუკა მოდრიჩის ტრანსფერმა გადაფარა.



ალბათ, აქ განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ, თუ გადახდილ თანხას შევხედავთ, მაშინ თამამად ვიტყვით, რომ „რეალმა“ მორიგი ზეტრანსფერი გაახერხა. ლუკა მოდრიჩის სანაცვლოდ „სამეფო კლუბმა“ 42 მილიონი ევრო გადაიხადა.

სხვათა შორის, ეს ევროპული სატრანსფერო სეზონის რეკორდის მხოლოდ გამეორებაა, რადგან „პარი სენ ჟერმენმა“ ამდენივე გაიღო ტიაგო სილვას შესაძენად.

ლონდონის „ტოტენჰემმა“ კი გვარიანი მოგება ნახა – „დეზებმა“ ხორვატ ფეხბურთელში თავის დროზე 21 მილიონი ევრო გადაიხადეს. არადა, ლონდონელებს უფრო დიდი მოგების ნახვა გასულ წელს შეეძლოთ – შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ მოდრიჩის სანაცვლოდ 50 მილიონ ევროს იხდიდა.

ასეა თუ ისე, მოდრიჩი ახლა მადრიდშია და „რეალთან“კონტრაქტი 5-წლიანია. ფეხბურთელი კი კვირაში 150.000 ევროს მიიღებს.

ტრანსფერი, როგორც აღმოჩნდა, სატრანსფერო ფასის გამო ფერხდებოდა – „ტოტენჰემი“ საერთო ჯამში (ბონუსების ჩათვლით) 46 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ 42-ს დაყაბულდა.

ხორვატი ფეხბურთელის თქმით, ის საკმაოდ მრავალმხრივი მოთამაშეა.

– ის ფეხბურთი მიყვარს, რომელშიც მაღალი დონის ტექნიკა არსებობს. აქამდე მოედნის შუაგულში ვირჯებოდი, მაგრამ ნებისმიერ პოზიციაზე შემიძლია ვითამაშო. რაც შეეხება იმას, თუ რა პოზიციაზე ვითამაშებ „რეალში“, ამას გუნდის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო გადაწყვეტს. „რეალის“ წარმატებისთვის ძალებს არ დავზოგავ, – განაცხადა მოდრიჩმა.

„რეალში“ მოდრიჩი კი მივიდა, მაგრამ, შესაძლოა, ამ სტრიქონების წაკითხის დროს ბრაზილიელი ფეხბურთელი კაკა მადრიდში აღარ იყოს. ჟოზე მოურინიომ ადრე განუცხადა კაკას, რომ მას სასტარტოში თამაშს ვერ ჰპირდებოდა, ხოლო მოდრიჩის ტრანსფერის შემდეგ 30 წლის ნახევარმცველის შანსები ნულის ტოლი გახდა.

„გაძეტა დელო სპორტის“ წერს, რომ კაკას დაბრუნება „მილანს“ სურს და მადრიდში იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი აპირებდა ჩასვლას.

შეგახსენებთ, რომ კაკა „რეალში“ 68 მილიონ ევროს საფასურად 2010 წელს გადავიდა. ფეხბურთელსა და კლუბს შორის 5-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. თუმცა, ტრანსფერმა და გადახდილმა თანხამ ნამდვილად ვერ გაამართლა და ბრაზილიელს სასტარტოში მოხვედრა უჭირდა – რეალელი კაკა მილანელი კაკას აჩრდილი იყო.

# 17-წლამდელებმა ტურნირი მასპინძელთა ძლევით დაიწყეს

**პოლონეთი _ საქართველო 2:3**

***0:1 ტაბიძე (12), 0:2 ზარანდია (25), 1:2 ზავადა (40), 2:2 შჟევჩიკი (67), 2:3 გოროზია (70)***

***52-ე წუთზე მალანიამ ვერ გამოიყენა პენალტი***

**პოლონეთი:** სტრიჟეკი, ბიელავსკი, ბედნარეკი, გრჟიბეკი (სჟარეკი 47), ბოჩნიევიჩი, გალეცკი (შჟევჩიკი 16), ბარტჟაკი, ტომჟაკი (სუჩანეკი 47), ზავადა, იძიკოვსკი (კოვალჩიკი 59), ტომაშიევიცი

**საქართველო:** გოშაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია, მალანია (კაპ), თევზაძე, ზარანდია, ბერიძე (მესხი 55), ხორხელი (გოროზია 60), კერძევაძე

მიუხედავად მასპინძლის სტატუსისა, მთელი შეხვედრის განმავლობაში პოლონელთა გუნდი მდევრის როლში იყო. ჩვენს კარში გატანილი გოლები კი, დაცვის მცირედი მოდუნებისა და კონცენტრაციის დაკარგვის შედეგი იყო.

ტექნიკურად, ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქე აშკარად დაჩაგრეს. თავის ფლანგზე შეუჩერებელი იყო ზარანდია, რომელსაც პოლონელთა მწვრთნელი მთელი თამაშის განმავლობაში უცვლიდა მცველებს და ვერც ერთი ვერ „მოარგო“.

საიმედოდ გამოიყურებოდნენ საყრდენის პოზიციებზე მოთამაშე თევზაძე და მალანია. ბევრი მოძრაობდა ქართველთა გამოკვეთილი ფორვარდი ილია კერძევაძე.

პირველი გოლი გიორგი თევზაძის საჯარიმო დარტყმას მოჰყვა. ქართველთა საყრდენის დარტყმის შემდეგ, ბურთი ძელმა აისხლიტა; დამატებაზე კი, ყველას ჯემალ ტაბიძემ დაასწრო და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ, ზარანდიამ გაილაღა. რამდენიმე სოლორეიდის შემდეგ, ქართველმა ნახევარმცველმა მეტოქის საჯარიმოში შედეგიანად „შეინავარდა“ და მასპინძელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა – 2:0.

პოლონელებმა ანგარიშის სხვაობა პირველ ტაიმშივე შეამცირეს. თავური დარტყმით გოლი ზავადამ გაიტანა. ტაიმი კი, ჩვენი გამარჯვებით – 2:1 დასრულდა.

მეორე ტაიმში, საქართველოს ნაკრებმა ძალიან ბევრი საგოლე მომენტი შექმნა. ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ კერძევაძეს, შეცვლაზე შემოსულ ცოტნე მესხსა და თენგო გოროზიას; 52-ე წუთზე კი, თერთმეტმეტრიანის გამოყენება ზურა მალანიამ ვერ შეძლო.

გაფუჭებული პენალტის შემდეგ, ჩვენი გუნდი ცოტა არ იყოს აირია, რითაც რამდენიმე წუთში პოლონელებმა ისარგებლეს და ანგარიში გაათანაბრეს. თუმცა, ორი საგოლე მომენტის ვერგამოყენების შემდეგ, გოროზიამ თავისი გოლის გატანა მაინც მოახერხა.

მესხის გამიზნული, შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, ქართველმა ნახევარმცველმა გამარჯვების მომტანი დარტყმა შეასრულა – 3:2 და საქართველოს ნაკრები შემდეგ ეტაპზე გამარჯვებულის სტატუსით გავიდა.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში, ნორვეგიამ კვიპროსს პენალტების სერიაში მოუგო (9:8). ასე რომ, დევდარიანის გუნდი, სწორედ, ნორვეგიელებთან გამართავს ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრას, რომლის მოგებაც უკვე ტურნირის ფინალისტობას ნიშნავს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ლქბც რფკტყლფჰბ

**#) ფუებცნჯ**

**წლის 243-ე დღე**
**ახალ წლამდე დარჩა 123 დღე.**

## საეკლესიო კალენდარი



**სულთმოფენობიდან მე–13 შვიდეული. ხუთშაბათი**

ღირსისა მამისა ტბელი აბუსერისძისა, პაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფისა ერისათვის თავდადებულისა (XIII); მოწამისა მირონ ხუცისა (250-254); მოწამეთა: პავლესი, დისა მისისა ივლიანასი და სხვათა (დაახლ. 273); მოწამეთა: თვრისესი, ლევკისა, კორონატისა და მოყვასთა მათთა (III); მოწამისა პატროკლესი (III); მოწამეთა: სტრატონისა, ფილიპესი, ევტიქიანესი და კვიპრიანესი (დაახლ. 303).

წმიდა მოწამე მირონ ხუცი ცხოვრობდა აქაიაში III საუკუნეში. ხუცი მეტად მოკრძალებული და გულმოწყალე ადამიანი იყო. ერთხელ ქრისტეშობის დღესასწაულზე ტაძარში, სადაც წმიდა მოწამე მირონი სწირავდა, ადგილობრივი მმართველი ანტიპატრე მხედრებთან ერთად შეიჭრა, რათა მლოცველნი შეეპყრო და საწამებლად წაეყვანა. წმიდა მირონი წინ აღუდგა მათ, რის გამოც საშინლად აწამეს, შემდეგ ქალაქ კიზიკში წაიყვანეს და თავი მოჰკვეთეს.

წმიდა მოწამენი პავლე, იულიანა და სხვანი ევნენ 273 წელს.

წმიდა მოწამენი თვიროსი, ლევკი, კორონატე და მათი მეგობრები ევნენ ბეთანიის კესარიასა და აპოლონიაში იმპერატორ დეკიუსის დროს.

წმიდა მოწამენი სტრატონი, ფილიპე, ევტიქიანე და კვიპრიანე. ევნენ ნიკომიდიაში. მმართველმა თავისთან დაიბარა წმიდანები და მას შემდეგ, რაც მათ მტკიცედ აღიარეს თავიანთი მრწამსი, ისინი ცეცხლში დაწვეს.

### დაიბადნენ:

1748 – ჟაკ ლუი დავიდი, ფრანგი ფერმწერი.

1860 – ისააკ ლევიტანი, რუსი ფერმწერი, პეიზაჟისტი.

1866 – ჟორჟ მენიე, ბელგიელი მოქანდაკე, „მოდერნის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი.

1871 – ერნესტ რეზერფორდი, ინგლისელი ფიზიკოსი, რადიაქტივობისა და ატომის აგებულების ერთ-ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1917 – ალექსანდრე ჯავახიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე. გარდაიცვალა 1997 წელს.

1918 – ნათელა იანქოშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი.

1922 – ბიძინა ავალიშვილი, მოქანდაკე.

1928 – ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

1933 – ვახტანგ ონიანი, მოქანდაკე და გრაფიკოსი.

1942 – ბესარიონ ჯორბენაძე, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1993 წელს.

### გარდაიცვალნენ:

30 – კლეოპატრა VII, ძველი ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი.

1181 – ალექსანდრე III, რომის პაპი.

1483 – ლუი XI, საფრანგეთის მეფე.

1907 – ილია ჭავჭავაძე, დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი.

1922 – ჟორჟ სორელი, ფრანგი ფილოსოფოსი.

### ღირსსახსოვარი დღეები:

თათრეთი – რესპუბლიკის დღე
ყაზახეთი – კონსტიტუციის დღე
ავღანეთი – ბავშვთა დღე
თურქეთი – გამარჯვებისა და კონსტიტუციის დღე

*მედიანიუსი*



## h3xცეx3ლბ ,

**შვეულად:** 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 9. ქართული ხალხური სუფრული სიმღერა; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ხეობა, მდინარე აფხაზეთში; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 15. თბილისის მმართველი IX-XII საუკუნეში.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 6. ქართული, მინიატურული თეატრის ფუძემდებელი, იუმორისტული ჟანრის მსახიობი მამაკაცი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. მდინარე ვოლგას არაბული სახელწოდება; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპიული ჩანასახი გამრავლებისთვის; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 14. ჯარების მართვის ორგანო; 16. ძვირფასი ლითონი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. ფიგურული სახაზავი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმეც.ყც,ეჲბ h3xცეx3ლც,ბც გფცეlც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ეფემერი; 2. ბომონდი; 3. მთვარე; 4. ფეოლა; 5. მურყვამი; 7. ძმა; 11. ტუბერი; 15. ანალიზი; 16. ჩუვაჩი; 17. მეტრო; 18. კლონი; 20. ხავსი; 22. ფიჯი.

**თარაზულად**: 6. ფერაძე; 8. კოლხეთი; 9. მცონარა; 10. მანდატი; 12. კორტი; 13. აზოვი; 14. ლომბარდი; 19. კრანახა; 21. პეტეფი; 23. ლიტვა; 24. ბრინჯი; 25. აზბესტი; 26. ვირჯინია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფესი; 2. ობი; 3. მაკნატუნა; 4. ბზიფი; 5. მაზურკა; 8. ლორი; 9. ცინიზმი; 10. ნაკამურა; 12. ქარწბი; 13. ოპაკი; 15. ღვინო.

**თარაზულად**: 1. ფიდელიო; 6. მალვაზია; 7. სალდო; 10. ნანდუ; 11. გრუჩი; 13. ოპიზა; 14. ბაღჩა; 16. წუღა; 17. ანანიძე; 18. თაგორი.

# მით რომნი აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა

მით რომნი ამერიკის შეერთებული შტატების „რესპუბლიკური პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა. მისი კანდიდატურა პარტიის ყრილობაზე ოფიციალურად გამოაცხადეს.

ამისთვის მას მინიმუმ 1144 ხმის დაგროვება სჭირდებოდა, თუმცა ყრილობაზე 2061 დელეგატის მხარდაჭერა მიიღო. ოფიციალურად გამოცხადდა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობაც.

„რესპუბლიკელების“ გამარჯვების შემთხვევაში, თანამდებობას პოლ რაიანი დაიკავებს.

თავად რომნი მეუღლესთან ერთად ყრილობას თვალს ტამპაში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროდან პირდაპირ ეთერში ადევნებდა.

მოგვიანებით „რესპუბლიკელ“ დელეგატებს მისმა მეუღლემ - ენ რომნიმ მიმართა და უთხრა, რომ არჩევანში არ შემცდარან და რომნი ის ადამიანია, რომელიც შეერთებულ შტატებს წარმატებას მოუტანს. უკვე ცნობილია, რომ ნოემბერში პრეზიდენტის თანამდებობისთვის მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მით რომნი იბრძოლებენ.

მედიამ და სოციოლოგიურმა ცენტრებმა რამდენიმე გამოკითხვა ჩაატარეს, ყველა მათგანს მსგავსი შედეგი აქვს – ამ დროისთვის კანდიდატებს მომხრეების თითქმის ერთნაირი რაოდენობა ჰყავთ.

შეგახსენებთ, რომ რომნიმ პრაიმერლიზის დროს გამარჯვება აშშ-ის 42 შტატში მოიპოვა.

მიტ რომნის ყრილობაზე მხარი დაუჭირა 2061-მა დელეგატმა.

რომნი უფრო მკაცრი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების მომხრეა. მაგალითისთვის, მიტ რომნი სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგი არაა და დაუშვებლად მიიჩნევს ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობას.

– ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გავატაროთ ყველა აუცილებელი ქმედება იმისათვის, რათა გარანტირებული გვქონდეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი ტერორისტების ხელში არ მოხვდება. თუ ეს მოითხოვს ჯარის გამოყენებას ან სხვა სახის აქციებს ჩვენი და მოკავშირეების მხრიდან, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა, – განაცხადა რომნიმ.

სირიის პრობლემის გადაწყვეტის საკითხში მან მთავარ მოკავშირედ თურქეთი და საუდის არაბეთი დაასახელა და აღნიშნა, რომ ტერორისტების მხრიდან ქიმიური იარაღის ხელში ჩაგდების რისკი საკმაოდ მაღალია.

რომნიმ ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას „აბსოლუტურად მიუღებელი“ უწოდა.



არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში რომნი აპირებს მაქსიმალურ ზეწოლას თეირანზე, რათა მან ვერ შეძლოს ბირთვული იარაღის შექმნა.

ასევე ყრილობაზე ოფიციალურად გაცხადდაა ქვეყნის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი - ვისკონსინის შტატის კონგრესმენი პოლ რაიანი.

რაიანი მოითხოვს გადასახადებისა და საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას, ასევე პრეზიდენტ ობამას მიერ დაწყებული ჯანდაცვის რეფორმის შეწყვეტას.

ყრილობაზე რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელმა რეინს პრებუსმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის კიდევ ერთი ვადით მოსვლა „ამერიკის მარცხის კიდევ ოთხ წელს“ ნიშნავს: „ამერიკას სჭირდება პრეზიდენტი ნამდვილ ეკონომიკაში ნამდვილი გამოცდილებით“.

– ამერიკელი ხალხი კვლავ კითხულობს - სად არის სამსახური? რაზეც პრეზიდენტი ობამა პასუხის ნაცვლად ბოდიშს იხდის. ჩვენ უკეთესად გავაკეთებ ამ ყველაფერს. თუმცა, პირველ რიგში ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოვახერხოთ, რომელიც ყველაფერს წარუძღვება, – განაცხადა ყრილობაზე ჯო ბონერმა.

– ის ძალიან მორცხვი ადამიანია და არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი. თუმცა, მე რომნის დიდი ხანია ვიცნობ. ის პატიოსანი, წესიერი და მშრომელი კაცია, – აღნიშნა ბონერმა ცოტა ხნის წინ „სი-ენ-ენ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 4 ნოემბერს გაიმართება.

# დაღესტნის ხელმძღვანელობა სპეციალურ დანაყოფებსა და თავდაცვის რაზმებს ქმნის

დაღესტნის ხელმძღვანელობამ, შეიხ საიდ აფანდისა და მისი 6 მიმდევრის მკვლელობის შემდეგ გადაწყვიტა სპეციალური დანაყოფებისა და თავდაცვის რაზმების შექმნა, რათა ტერორიზმს წინ აღუდგნენ.

ტერორისტული აქტი 28 აგვისტოს, ჩირკეის დასახლებაში მოხდა. 74 წლის შეიხს ტერორისტი ქალი, როგორც მომლოცველი, ისე მიუახლოვდა და სხეულზე დამაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა. უკვე დადგენილია ტერორისტის ვინაობა. ის იყო მახაჭყალის მცხოვრები, 30 წლის ამინათ კურბანოვა.



– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, დაღესტნის ყველა რაიონსა და ქალაქში თავდაცვის რაზმები ჩამოვაყალიბოთ, რომელშიც იქ მცხოვრები ახალგაზრდები გაწევრიანდებიან. ისინი, შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად, მოსახლეობას ბანდიტებისა და ტერორისტებისაგან დაიცავენ. ამისათვის საჭირო ფინანსებს აუცილებლად მოვიძიებთ, – განაცხადა დაღესტნის ხელმძღვანელმა მაგოდესლა მაგომედოვმა.

დაღესტნის მაღალი რანგის ჩინოვნიკებს შორის ბევრია ისეთი, რომლებიც საიდ აფანდის თავის მასწავლებლად და სულიერ დამრიგებლად მიიჩნევდა.

დღესვე, დაღესტნელი მეამბოხეების საიტზე „ვდაგესტან.ქომზე“ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, კერძოდ, დაღესტნის წუნტის რაიონში, რუსეთმა ჯარის კონცენტრაცია კიდევ უფრო გაზარდა. მათი ინფორმაციით, რაიონში შემოვიდა 80 ერთეული სამხედრო ტექნიკა, ქვეითთა რაოდენობა 10 ათასამდე გაიზარდა.

საინტერესოა, რომ საიტზე დასახელებული რიცხვები აშკარად გადაჭარბებულია. რაიონში, ჯარის განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით შეყვანის შესახებ იგივე საიტმა ინფორმაცია ჯერ კიდევ 27 აგვისტოს გაავრცელა. მაშინ საიტმა რაიონში რუსული სამხედრო დაჯგუფება შეაფასა 2500 სამხედრო მოსამსახურით.

საიტის ინფორმაციით, როდესაც ადგილობრივები ეკითხებიან რუსებს, თუ რატომ არიან იქ, მათი პასუხია „საქართველოსგან მოსახლეობის დასაცავად“. თუმცა, მოსახლეობას ამ „სისულელის“ არ სჯერა. რუსები უბრალოდ ადგილობრივი მოსახლეობის სახლებში ტოტალურ რეიდებსა და ჩხრეკას ატარებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში რუსეთს უკვე დიდი ხანია ჰყავს თავმოყრილი მრავალრიცხოვანი სამხედრო დაჯგუფება და ჯავშანტექნიკა. რუსეთი ამას მეამბოხეთა ძებნით ხსნის. აღსანიშნავია, რომ წუნტის რაიონს საქართველოსგან ყოფს კავკასიონის ქედი, საერთო საჯარისო ნაწილებისათვის და ჯავშანტექნიკისათვის გადაულახავი გადასასვლელებით.

წუნტის რაიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია ძირითადად, ქართველებისადმი სიმპათიით განწყობილი დიდოელებით არის დასახლებული. 2011 წელს დიდოელების წარმომადგენელმა რამზანოვმა თბილისში, დიდოელების 15 000 ხელმოწერა ჩამოიტანა, რის მიხედვითაც, ზრდასრული დიდოელების უმრავლესობა საქართველოს შემადგენლობაში შესვლის სურვილს ადასტურებს.

– სერჟანტი რამაზან ალიევი, რომელმაც დაღესტანში შვიდი ადამიანი მოკლა და თავად საპასუხო სროლის დროს გარდაიცვალა, ვაჰაბიტი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას „ინტერფაქსი:“ ავრცელებს.

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტს ალიევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ორ ან მეტი ადამიანის მკვლელობასთან დაკავშირებით აქვს აღძრული.

ინციდენტი ბელიჯის დასახლებასთან ახლოს მოხდა. გამოძიების თანახმად, 28 აგვისტოს 16:00 საათისათვის ალიევი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მივიდა და სროლა დაიწყო, რასაც ორი ადამიანი ემსხვერპლა. დაშავდა ორი კაცი. მთლიანობაში მან 30 გასროლა განახორციელა. ამის შემდეგ ის შევარდა ყაზარმაში, სადაც სპეციალური დანიშნულების რაზმის სპეცრაზმელები ისვენებდნენ. მან გახსნა ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა 5 და დაიჭრა 4 სპეცრაზმელი. საპასუხო ცეცხლის შედეგად, ალიევი ადგილზევე გარდაიცვალა. დაშავებულები დერბენტის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოძიება გრძელდება.

ამასთან, რუსმა სამართალდამცავებმა ამოიცნეს დაღესტნის შეიხის მკვლელის ვინაობა. მათი თქმით, ტერორისტის ვინაობის დადგენა აფეთქებას გადარჩენილი მოგლეჯილი თავის საშუალებით გახდა შესაძლებელი. წინასწარი მონაცემებით, ეს მახაჩკალაში მცხოვრები რუსი ეროვნების ამინატ საპრიკინა იყო, რომელმაც ისლამი მიიღო და ერთ-ერთი იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრის ცოლიც იყო. სამართალდამცავების თქმით, მასზე უკვე იყო ძებნა გამოცხადებული, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ მას ტერორისტ თვითმკვლელად ამზადებდნენ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ დაღესტანში ტერაქტი მოხდა. ტერორისტმა ქალმა თავის აფეთქების შედეგად ექვსი ადამიანი მოკლა, მათ შორის ადგილობრივი მუსულმანების სულიერი ლიდერი შეიხ საიფ აფანდი. 74 წლის შეიხი, დაღესტანის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სულიერი ლიდერი იყო მუსულმანთა შორის. იგი ღიად უპირისპირდებოდა ისლამის ახალ მიმდინარეობას, ვაჰაბიზმს.

სულიერი ლიდერის მკვლელობის მცდელობა ყაზანშიც იყო. იქ, თათართა მუსლიმი ლიდერის ილდუს ფაიზოვის მანქანა ააფეთქეს. 15 წუთით ადრე კი, ფაიზოვის მოადგილე ვალიულლუ იაკუპოვი თავის სახლთან მოკლეს. ფაიზოვი, დაღესტნის შეიხის მსგავსად, ღიად გამოდიოდა ვაჰაბიტების წინააღმდეგ. ყაზანის ტერაქტის დროს არსებობდა ეჭვი, რომ სწორედ ვაჰაბიტების ხელი ერია.

## ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

რეზო და ციცინო ცანავები შვილებით – ბესო და ხათუნათი თანაუგრძნობენ მურთაზ, ნუგზარ, თემურ და ზურაბ უბერებს დედის, ქალბატონი

**ნუცა ყოლანდარიას**

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, 15 საათზე.
მისამართი: ქ.ზუგდიდი, პეტრე უბერის ქუჩა №7.

**ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7**
**რდბჳბც უფჳლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

# სოჭში, შესაძლოა, 17 მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდეს და 24 დაბა დატბოროს

სოჭში, შესაძლოა, 17 მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდეს და 24 დაბა დატბოროს.

სოჭის ხელისუფლება რეგიონში არსებული ცუდი ამინდების გამო მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, მოსახლეობის შესაძლო ევაკუაციისთვის ემზადება.



სამოქალაქო თავდაცვისა და მოსახლეობის დაცვის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროგნოზირებული ძლიერი წვიმების გამო მოსალოდნელია მდინარეების დონის აწევა, რამაც შესაძლოა, 17 მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლა გამოიწვიოს. შესაძლო დატბორვის ზონაში კი 24 დასახლებული პუნქტი მდებარეობს.

სოჭი ზღვისპირა საკურორტო ქალაქია რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვართან. დიდი სოჭი 147 კმ-ის სიგრძეზე მიუყვება შავი ზღვის სანაპიროს. 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქალაქის მოსახლეობა 328.809 ადამიანს შეადგენდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 30 აგვისტო**

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ ფ. "დაკარგული პირამიდა". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 03.45** მოამბე **09.10** ან. ფ."**სინდბადი, შვიდი გზის ლეგენდა**" **10.30** მხ. ფ. "**ლესი**" **12.45** მხ. ფ. "**მეფე დავითი**"რ. გირი. **14.30**აღმოაჩინე საქართველო. **15.00** სერიალი "**დეტექტივი**" **17.00** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **18.00** პეპე და მეგობრები **20.00** ფეხბურთი **დილა-გორი - მარიკიმუ** პორტუგალია პირდაპირი. **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **00.00** სი-ბემოლი. **01.00** მხ. ფილმი "**რომეო და ჯულიეტა**" **03.15** საფარი. **04.05** მხ. ფილმი "**ამერიკული მთები**" **05.20** მხ. ფ. "**უცნობი ჩემს გვერდით**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფ. "უძველესი აღმოჩენები" **17.00** სერ. "**მეორე შანსი**" **20.00** მხ.ფ. "**გამიარა, მაგრამ არ დამავიწყებია**"3-4 სერ. **00.00** მხ. ფ. "**ჩურჩული ღამით**" (**18**)

**08.00** ან. ფილმი "პიტერ პენი და მეგობრეები" **12**-სერ. **08.30** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **12**-სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 05.00, 07.00** ქრონიკა **09.10** სერ. "**გმირები 3**" **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.50** ქ. სერ. "ოტელო" **4** სერ. **14.40** სიმართლეს დრო. **15.40** სერ. "**მოჯადოებული**" **17.40** სერ. "**მეწამული ცა**" **18.40** სერ. "**შურისძიების სახელით**" **21.00** სერ. "**მემკვიდრეები**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** ქართ. სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **00.00** ღამის შოუ. **01.00** თბილისი LIVE **02.10** მხ.ფ. "**მოგზაური**"დ. არკუტი. **03.45** მხ.ფ. "**ქვის მთლელი**" ჩაკ ნორისი. **05.30** მხ. ფ. "**აგვისტო**" ჯ. ჰარტნეტი. **07.15** სერ. "**მოპარული ბედნიერება**".

**07.30** MTV CRIBS **08.00** MTV ROOM RAIDERS **08.30** MTV MY SUPER SWEET **09.00** MTV MADE **09.30** MTV LAGUNA BEACH **10.00** სერ. "**ქალის მსხვერპლი**" **11.00** სერ. "**ეჭვი და სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ქარ. მხ.ფ. "**მიდიოდა მატარებელი**". **14.00** შერეკილები. **15.30** სერ. "**თანამედროვე ოჯახი**" **17.00** სერ. "**ტერეზა**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 22.05** უეფა – კენჭისყრა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** სერ. "**დეტექტივები**". **01.00** MTV PUNK'D **01.30** MTV Boyling Points **02.00** MTV True Life **02.30** მხ.ფ. (ტიტ.)

**08.00** ან.ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". **08.55** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ.ფ. **12.15** სერ. "**პოლიციელთა ამბები**" **13.00** მხ.ფ. **15.15** პულსი (გან.) **15.45** ან.ფ. **17.10** სერ. "**ელიზა და რივომბროზა-II**" **18.00** მხ.ფ. **20.00** სერ. "**ტყუპები**" **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ.ფ. **00.00** მხ.ფ. **01.50** მხ.ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 15.15** დოკ.ფ. **10.30** დოკ.ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი "**საგა**" **12.50** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **13.50** სცენა **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **19.35** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **23.00** მხ. ფ. "**მახვილი გზა** " **01.00** მხ. ფ. "**ბოლივუდის დედოფალი**"

ერთსულოვნება

**08.30** განთიადი. **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.05, 12.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.10. 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება.**10.40** დოკ. ფ. "კაკ ენისელი". **11.20** ჩვენი ტრაპეზი. **11.30** გზა, რომელითაც ვიარე. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფ. "**დათა თუთაშხია**" **7**-სერ. **13.30** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.35** დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **16.00** მხ. ფ. "**პიანისტი**". **18.10** დოკ. ფ. "დიდი ტბელი მობრძანდება". **18.25** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** მხ. ფ. "**მზე შემოდგომისა**". **20.40** ძილი ნებისა. **21.00** პატრიარქის ქადაგება. **21.05** ერთსულოვნების სალონი. **22.25, 23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **23.00** საღამოს ლოცვა. **00.35** განთიადის სტუმარი. **01.00** მხ. ფ. "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **3-4** სერ.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 agvisto

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6421 | ევრო —2,0162 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779 | რუსული რუბლი — 0,0512 |

## ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26–32, ღამით — 11–20;

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23–28, ღამით — 12–17;

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 23–24, ღამით — 9–13





# seqtemberSi

# ახალ თაობასთან“

## ერთად

## უნიკალური გამოცემა

## cfmfhsdtkjcbcnjhbf

## ერთ წიგნად/

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.


## ·ღტჯფვ უფბსღფჯბცობყტს=

### ეს ღღე სნავღას ღაუთმეთ

## fcnhjghjuyjpb

#) ფუღბცნჯცსღბც

**ვერძი** — მიიღეთ ახალი ინფორმაცია, მალე დაგჭირდებათ. **კურო** — ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკითხი თავად შეისწავლეთ. **კირჩხიბი** — გააანალიზეთ მომხდარი და ისე იმოქმედეთ. **ლომი** — დიდი სიხარული გელით. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, ახალი საქმე მოგწონთ. **მშვილდოსანი** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **თხის რქა** — პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია მოინდომოთ. **მერწყული** — უნდა შეიცვალოთ, წარმატება სულ ახლოს არის. **თევზები** — გადაღლილი ხართ, ცოტა დაისვენეთ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## h3xцეჲx3ებ ფ

**შვეულად:** 1. ქართული მითოლოგიის გმირი; 2. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 3. სახელმწიფო სკანდინავიაში; 4. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. ტყის ხარისხიანობის მაჩვენებელი; 7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 11. მიწისქვეშა საკანალიზაციო არხი დიდ ქალაქებში; 15. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 16. ფრანგი კინორეჟისორი; 17. ინდიელისა და ზანგის ქორწინების შთამომავალი; 18. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 20. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 22. საქონლის წონა შეუფუთავად, სუფთა წონა.

**თარაზულად:** 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 8. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი; 9. უცოდინარი, უვიცი რაიმე დარგში; 10. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმით ან სხვა ტონალობით; 12. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 13. კათოლიკე მღვდელი; 14. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 19. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვეიცარიაში; 21. ღვთისმშობლის სახელი, წოდება კათოლიკეებში; 23. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 24. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა; 25. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 26. მსხვილი ფინანსურ-სარეწველო გაერთიანება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## იუმორი



— ზოგიერთ ქვეყანაში ასეა მიღებული: ლიდერის პორტრეტს რომ ხსნიან, ორიგინალს კიდებენ...

❖ ❖ ❖

— დასჯა არ შეიძლება, არც შეწყალება. რა ვქნათ?

— ვაწამოთ, თქვენო აღმატებულებავ, წამება შეიძლება...

❖ ❖ ❖

— დამნაშავის ძებნა ძალიან საინტერესო საქმიანობაა, განსაკუთრებით, თუკი ძებნას თავად დამნაშავე ხელმძღვანელობს...

❖ ❖ ❖

ინფარქტის შემდეგ პაციენტი ექიმს ეკითხება:

— შეიძლება, რომ გავაბოლო?

— რა თქმა უნდა, თუკი ეგ თქვენი უკანასკნელი სურვილია...

❖ ❖ ❖

შტორმი, ტალღები გემს რიფისაკენ მიაქანებს. კაპიტნის ბოგურიდან ყვირილი ისმის:

— თავს უშველეთ, ყველანი წყალში!

— ცურვა თუ არ ვიცი?!

— მაშინ, აქ მოდი, საჭესთან...

❖ ❖ ❖

— ნებისმიერ ქალს, უბრალოდ, სიყვარული უნდა.

— ჰო, სიყვარული, ყურადღება, სითბო, პატივისცემა, კომპლიმენტები, ყვავილები, ალერსი, უძილო ღამეები და კიდევ ძალიან, ძალიან ბევრი რამ...

— რა ტევადი სიტყვაა „უბრალოდ“...

**გ. თ.**


## avtorizebuli Tbilisis turizmis akademia acxadebs miRebas:

- გიდის (I, II, III, IV საფეხური)
- ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) (I, II, III, IV, V საფეხური)
- კორესპონდენტი (III საფეხური)
- მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით 9-12 კლასდამთავრებულები.

IV, V საფეხურზე „ზოგად უნარებში“ გამოცდაჩაბარებულები.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

თბილისი, მ.კოსტავას 47, 599 188924, 2936603, 2999626, 2990724.


# ქართველებმა ოლიმპიადა მშრალად დაიწყეს




სტამბოლში, დაიწყო მე-40 საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლის პირველი ტური წარმატებული გამოდგა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა და ქალთა ნაკრებებისთვის. ორივე მათგანმა მშრალი ანგარიშებით (4:0) იმარჯვეს.

ჩვენმა ვაჟებმა, რომლებიც უმთავრესი ლიდერის, ბაადურ ჯობავას (ჯანმრთელობის პრობლემების გამო) გარეშე თამაშობდნენ იემენის გუნდს სძლიეს: მიხეილ მჭედლიშვილს მეტოქე არ გამოუცხადდა და გამარჯვება უპრობლემოდ ჩაეთვალა, მერაბ გაგუნაშვილმა – იაჰია ფარაგის აჯობა, თორნიკე სანიკიძემ – ჰატემ ალ ჰადრანის, ხოლო ლევან ფანცულაიამ – იბრაჰიმ აბდულას (2019).

მეორე ტურში, ქართველთა მეტოქე საკმაოდ ძლიერია – ევროპის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები. ცხადია, ჩვენებს რთული ბრძოლა მოელით.

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების მეტოქე კი, გვატემალელები იყვნენ, რომელთა ძლევაც თავიანთი ლიდერის, ნანა ძაგნიძის გარეშეც არ გასჭირვებიათ. ჯობავასგან განსხვავებით ძაგნიძე სრულ ფორმაშია, მისი უთამაშებლობის მიზეზი კი ის იყო, რომ მწვრთნელებმა ლიდერის სუსტ გუნდთან დასვენება გადაწყვიტეს.

ბელა ხოტენაშვილმა მოუგო სილვია მასარიეგოსს მოუგო, ლელა ჯავახიშვილმა – ვილატორო სოტომაიორს, ნინო ხურციძემ – კლაუდია მენკოსს, ხოლო ნინო ბაციაშვილმა – მარია მენკოსს.

მეორე ტურში ქალთა ნაკრებს, ბელგიელთა ოთხეული დაუპირისპირდება. წესით და რიგით ჩვენებმა ისევ ქულათა მაქსიმუმის აღება უნდა მოახერხონ.

**მ. ჟ.**

# სილვესტერ სტალონეს და გარდაეცვალა

სილვესტერ სტალონეს, რომელმაც სულ რაღაც ერთი თვის წინ ვაჟი დაკარგა, დაც გარდაეცვალა. ტონი ენ ფილიტი 49 წლის ასაკში ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა.

დის გარდაცვალების ამბავი სილვესტერ სტალონეს დედამ, 90 წლის ჟაკლინ სტალონემ აცნობა. მისი თქმით, ფილტვის კიბოს შედეგად მას მეტასტაზები თავის ტვინში ჰქონდა და დიდი ხნის განმავლობაში ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს იღებდა.

აღსანიშნავია, რომ ტონი ფილიტის ვაჟმა, დისწულმა ედ ფილიტიმ სილვესტერ სტალონე ბიძაშვილის გარდაცვალებაში მამამისი, სილვესტერ სტალონე დაადანაშაულა.



18 წლის ფილიტიმ სტალონეს ფეისბუქზე განაცხადა, რომ სილვესტერ სტალონე და მისი მეუღლე ჯენიფერ ფლევინი სეიჯ სტალონეს სრულ იგნორირებას ახდენდნენ და ფლევინს სტალონეს ოჯახის განადგურება მიულოცა.

ედ ფილიტის თქმით, დამწყებ რეჟისორ სეიჯ სტალონეს მამის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, მაგრამ ვერ ეღირსა. „ექვს ივლისს სეიჯმა დაგირეკა, რათა დაბადების დღე მოელოცა, მაგრამ შენ ყურმილი არ აიღე, არც გადაურეკე. სეიჯს კი მხოლოდ შენთან ლაპარაკი, მცირეოდენი ყურადღება სურდა“ – წერდა ედ ფილიტი ბიძის ფეისბუქზე.

მოგვიანებით ედ ფილიტიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სეიჯის გარდაცვალების შემდეგ ნერვული აშლილობის ზღვარზე იმყოფებოდა და ფეისბუქზე ამიტომაც დაწერა ის, რაც დაწერა.

„ბიძასთან პრეტენზიები კიდევ მაქვს, მაგრამ საქვეყნოდ არ უნდა გამომეტანა“ – თქვა მან.

სილვესტერ სტალონეს უფროსი ვაჟი სეიჯ სტალონე მსახიობი, რეჟისორი და კინოპროდიუსერი იყო. 13 ივნისს იგი საკუთარ სახლში მკვდარი ნახეს. გარდაცვალების მიზეზები უცნობია, სეიჯს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა. მის ბინაში ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მრავალი ცარიელი კოლოფი აღმოაჩინეს.

სეიჯის დედამ, სტალონეს ყოფილმა მეუღლე საშამ განაცხადა, რომ გარდაცავალებამდე ორი კვირით ადრე სეიჯმა რთული სტომატოლოგიური ოპერაცია გაიკეთა, რის შედეგადაც ხუთი კბილი ამოუღეს. დედის თქმით, სეიჯს ტკივილები აწუხებდა და ტკივილგამაყუჩებლებს იღებდა.

თუმცა, სილვესტერ სტალონე უბედური შემთხვევის ვერსიამ არ დააკმაყოფილა და კერძო დეტექტივი სკოტ როსი დაიქირავა. ეს უკანასკნელი წარსულში მაიკლ ჯექსონის მიერ არასრულწლოვანთა გარყვნის და კრის ბრაუნის მიერ მომღერალ რაიანას ცემის საქმეებს იძიებდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**


კეჰ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ